პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტ. და ტფ. კომიტეტების და ცაკის ორგანო

შაბათი.
5
ოქტომბერი
№ 232 4388

დღის ნომერში

- გულმოდგინეთ ვიმუშაოთ თვითეულ კომუნისტთან (მეთაური).
- საქ ცაკის და სახკომსაბჭოს დადგენილება ფრუნზეს სახელობის მსროლელი დივიზიის მეორე შეერთებული ათასეულის დაჯილდოების შესახებ.
- თენგიზ ჟღენტი—სტალინი 1903 წელს ქუთაისის ციხეში და 1905 წელს გურიაში.
- ახალგაზრდობის კომუნისტური ინტერნაციონალის მე-6 მსოფლიო კონგრესი.
- იტალიის ჯარების შეტევა აბისინიაში.
- საფრანგეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს გადაწყვეტილება.
- სასურსათო მაღაზიის დარბევის ცდა ბერლინში.
- ბულგარეთში მდგომარეობა ძალზე დაძაბულია.

გულმოდგინედ ვიმუშაოთ თითეულ კომუნისტთან

პარტიული დოკუმენტების მიმდინარე შემოწმებამ გამოააშკარავა ქულიკები და პარტიაში შემოპარული უცხო ელემენტები, რომელნიც განიდევნენ პარტიის რიგებიდან. მან აგრეთვე გვიჩვენა ჩვენი პარტორგანიზაციების მტკიცე დარაზმულობა, მათი ბრძოლის უნარიანობა, კლასობრივი სიფხიზლის გამახვილება, მონოლიტობა, პარტორგანიზაციის ყველა რგოლში ორგანიზაციული და პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის გამოცოცხლება ეს უდავოა.

მაგრამ ეს როდი გვაძლევს იმის საბუთს, რომ პარტიული მუშაობის სფეროში უარვყოთ ჩვენი ნაკლოვანებანი, რაც გვაქვს მიმდინარე პერიოდის გაზრდილ მოთხოვნათა პირობებში და რაც აუცილებლად უნდა დავძლიოთ. შემოწმებამ ისიც ხომ გვაჩვენა, რომ ჩვენი პარტიის ცალკეულ რგოლებში საჭირო ყურადღებას და მზრუნველობას არ იჩენდნენ ადამიანისადმი. პარტიის წევრისადმი, კანდიდატისადმი, არ იყო ისეთი ხელმძღვანელობა, რომლის შედეგადაც უფრო სწრაფად და გონივრულად გამოვზრდიდით ახალ კადრებს, თვითეულ კომუნისტს, აღვუძრავდით მათ ინიციატივას, გავშლიდით მათს შემოქმედებითს უნარს. ესეც უდავოა.

ატარო ლენინ-სტალინის დიადი პარტიის წევრობის სახელწოდება, ეს დიდად საპატიო საქმეა. ბოლშევიკური პარტიის წევრობა — ეს ხომ უდიდეს ვალდებულებებს გვიყენებს სოციალისტური მშენებლობის ყველა ფრონტზე. კომუნისტურ პარტიაში მუშაობა — ეს ხომ ყველა კომუნისტს გვავალებს ვიყვეთ კლასის მოწინავე რაზმელები, ნამდვილად მოწინავენი [illegible]ზის თვითეულ ნაბიჯზე" საქმით ვარწმუნებდეთ ყველა მშრომელს ჩვენს გამარჯვებაში, ჩვენს ძალაში და შემოქმედებაში.

და აი, სწორედ ახლა, როდესაც სოციალიზმმა სავსებით გაიმარჯვა ჩვენს ქვეყანაში, უფრო მეტი სიმკვეთრით გაისმის საყვარელ ბელადის დიდი სტალინის სიტყვა: „...არა არის რა იმაზე უფრო მაღალი, ვიდრე პარტიის წევრის წოდება, იმ პარტიის, რომლის დამაარსებელი და ხელმძღვანელი ამხ. ლენინი წარმოადგენს".

გაიხედავ წინ, განსჭვრეტავ ისტორიულ ამოცანათა შინაგან აზრს და რწმუნდები. რომ თუ არ გაიზარდე, თუ ცხოვრებას არ მიჰყე, არა როგორც მაჩანჩალა. არამედ როგორც მოწინავე მებრძოლი და ორგანიზატორი. — ჩამორჩები, შემდეგ კი დრო უფრო შორს მოგიტოვებს და აი სწორედ სოციალიზმის ძლევამოსილი მშენებლობა აყენებს ჩვენს წინაშე ამოცანას: ვიყვნეთ ღირსეული შვილები ლენინ-სტალინის პარტიისა, ვიყვნეთ მოწინავენი. მტკიცედ ვიდგეთ მუშათა კლასის ბრძოლის და შემოქმედების ავანგარდში.

მაგრამ როგორ მივაღწიოთ ამას? სწორედ აქ ისმება საკითხი, თვითეული კომუნისტისადმი მზრუნველობითი მოპყრობისა, თვითეულ პარტიულთან სისტემატური მუშაობის წარმოებისა. მისი შესწავლისა და მისთვის დახმარებისა. როცა მას ეს სჭირდება, მისი ხელმძღვანელობისა, რათა ის მუდამ [illegible] იდგეს მარქსიზმ-ლენინიზმის დროშის ქვეშ. თავის მოწოდების სიმაღლეზე. ახლა ეს არის განსაკუთრებით საჭირო.

პარტდოკუმენტების შემოწმებამ [illegible] დაგვანახვა, რომ პარტორგანიზაციის ზოგიერთი ხელმძღვანელი არასაკმარისად მუშაობს პარტიის თვითეულ წევრთან, სარეზერვო კადრებთან. ვერ იჩენს საჭირო მზრუნველობას მათდამი, ვერ იყენებს ან არ შეუძლია გამოიყენოს ხელმძღვანელობის ხელოვნება მათი აღზრდის და გამობრძმედის საქმეში. აი რა განაცხადა ერთერთმა პარტკომის მდივანმა: „პარტდოკუმენტების შემოწმება დიდი სკოლა იყო ჩვენთვის. მან ბევრი რამ მასწავლა, რასაც ჩემს შემდგომ მუშაობას საფუძვლად დავუდებ" ამას ბევრი, ძალიან ბევრი პარტმუშაკი გაიმეორებს.

პარტიის წესდება თვითეული წევრისაგან მოითხოვს არა მარტო პარტიის პროგრამის აღიარებას. მის რომელიმე ორგანიზაციაში ყოფნას, პარტიის დადგენილებათა დამორჩილებას და საწევრო გადასახადის გადახდას, ეს არაა საკმარისი. პარტია მოითხოვს თითოეულ კომუნისტისაგან სასტიკი პარტიული დისციპლინის დაცვას, პარტიის და ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობის მიღებას, შეუნელებელი მუშაობის წარმოებას თავისი იდეური შეიარაღების ამაღლებისათვის, შრომის და სახელმწიფოებრივ დისციპლინის სანიმუშოდ დაცვას, თავისი საქმის ტექნიკის დაუფლებას.

ასეთია პარტიის წევრობის პირობა, რაც განუხრელად უნდა განვახორციელოთ მაღაროებში, ქარხნებში და საკოლმეურნეო მინდვრებზე, საბჭოთა დაწესებულებაში, მოკლეთ — ყველგან. ამის დავიწყება არ შეიძლება.

ეს კი პარტორგანიზაციებისა, პარტორგანიზატორებისა, კომიტეტის მდივნებისა და თვითეული პარტიული მუშაკისაგან მოითხოვს მეტი ყურადღებით მოეპყრონ თვითეულ პარტიულს, მეტი დახმარება აღმოუჩინონ მათ, უხელმძღვანელონ ბოლშევიკური სტილით, რომელშიც შეერთებულია რუსული რევოლუციური გაქანება და ამერიკული საქმიანობა. ეს ხელმძღვანელობა ისეთი უნდა იყოს, რომ თვითეულ კომუნისტს მისცეს ნათელი პერსპექტივა, დაბრკოლებათა დაძლევის ურყევი რწმენა და გაუორკეცოს საქმის ბოლომდე მიყვანის უნარი.

არც ეს კმარა.

ხელმძღვანელმა აქტივმა უნდა ასწავლოს პარტიულ მასას, თვითეულ პარტიულს, მაგრამ მან თვითონაც უნდა ისწავლოს მასისგან, თვითონაც უნდა იმუშაოს თავის თავზე. გაამდიდროს თავისი ცოდნა და გამოცდილება. ეს მუშაობა და სწავლა ისე უნდა შევუთავსოთ, რომ ვითვალისწინებდეთ არა მარტო პარტორგანიზაციის კონკრეტულ ამოცანებს, არამედ თვითეული კომუნისტის ინდივიდუალურ თვისებებს და თავისებურებებს, რათა მისგან მეტი ეფექტი მივიღოთ.

ჩვენს პარტიულ ორგანიზაციაში, ლენინ-სტალინის დიად პარტიაში, არ უნდა დარჩეს არც ერთი კომუნისტი, რომელსაც არ ექნება რაიმე პარტიული და საზოგადოებრივი პოლიტიკური დატვირთვა. პარტიული დავალებანი გონივრულად უნდა გავანაწილოთ. და თუ ეს ითქმის ორგანიზაციებზე. იგი უფრო მეტად შეეხება ერთეულ კომუნისტებს, რომელნიც თავიანთი მდგომარეობის გამო შედარებით მოწყვეტილი არიან პირველად ორგანიზაციებს. მთელი ჩვენი მუშაობის დროს უნდა გამოვდიოდეთ იქიდან, რომ რევოლუციური თეორია დავუკავშიროთ პრაქტიკულ საქმიანობას, ყოველდღიურ ცოცხალ საქმის და უფრო უკეთ შევიარაღდეთ მარქსიზმ-ლენინიზმის ბასრი იარაღით, ღრმად შევისწავლოთ ჩვენი პარტიის სახელოვანი ისტორია.

ეს ზრუნვა, ყურადღება, დახმარება და ხელმძღვანელობა უნდა გავავრცელოთ არა მარტო თვითეულ კომუნისტზე, არამედ კომკავშირელებზედაც, თანაგრძნობებზედაც, რომელნიც ბოლშევიკური პარტიის რიგების შევსების ერთერთ არხს, პარტიის რეზერვს წარმოადგენენ უნდა გავავრცელოთ თვითეულ უპარტიო ბოლშევიკზეც, მუშაზეც და კოლმეურნეზეც, სოციალიზმის ყველა მშენებელზე. რა თქმა უნდა, აქ მთავარია მუშაობა კომუნისტთან, როგორც ავანგარდთან.

ახლა მთავარია ადამიანები და ჩვენ ახლოს უნდა მივიდეთ მათთან. „...უნდა ვისწავლოთ ადამიანთა დაფასება, კადრების დაფასება, თვითეული მუშაკის დაფასება. რომელსაც შეუძლია სარგებლობა მოუტანოს ჩვენს საერთო საქმეს", ამას გვასწავლის დიდი სტალინი.

ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ „ვზარდოთ პარტორგანიზაციები და მათ ირგვლივ დარაზმული უპარტიო აქტივი ლენინური ინტერნაციონალიზმის პრინციპზე", ბოლშევიზმის ბრწყინვალე ტრადიციებზე, რათა მაღლა გვეჭიროს და წმინდად შევინახოთ პარტიის წევრის დიდი სახელი.

ლაგოდეხი—თამბაქოსათვის ბრძოლის მოწინავე პოზიციებზე

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ.-ტი—ამხ. ბერიას

ლაგოდეხის რაიონის კოლმეურნეობანი და მშრომელი ერთპიროვნული მეურნეობანი. ჩაბმული საქართველოსა და აზოვ-შავი ზღვის მხარეს შორის გამოცხადებულ სოცშეჯიბრებაში, იბრძვიან, რათა მოიპოვონ გამარჯვება და განახორციელონ ამხ. ბერიას მითითებანი 1936 წელს თამბაქოს დიდი და მაღალხარისხოვანი მოსავლის მიღების შესახებ.

20 სექტემბრისათვის ლაგოდეხის რაიონმა 100 პროცენტით შეასრულა თამბაქოს შეტეხის გეგმა ზონარობით, ხოლო 27 სექტემბრისათვის — დაამთავრა თამბაქოს შეტეხა პლანტაციების მთელ ფართობზე. აღებულია სულ 3.451.105 ზონარი ფოთოლი (გეგმის 103,5 პროც.). ე. ი. 700.000 ზონარით მეტი, ვიდრე შარშან — თამბაქოს პლანტაციების იმავე ფართობზე.

ამჟამად გაშლილია მუშაობა დამზადების წარმატებით ჩასატარებლად. 2 ოქტომბრისათვის თამბაქოს საადრეო დამზადების გეგმა (235 ტონა) 100 პროც.-ით შევასრულეთ.

ვიძლევით ბოლშევიკურ დაპირებას მთლიანად და გადაჭარბებით შევასრულოთ 1935 წლის თამბაქოს მოსავლის დამზადების წლიური გეგმა როგორც რაოდენობით, ისე ხარისხობრივი მაჩვენებლებით.

საქ. კ. პ. (ბ) ლაგოდეხის რაიკომის მდივანი: **პ. აზარაშვილი.**
რაიაღმასკომის თავმჯდომარე: **ი. ბეჟაშვილი.**

გეგმები შევასრულეთ

ბაღდათი. 3 ოქტომბერი. ბაღდათის რაიონმა ხორცის დამზადების წლიური გეგმა ვადამდე 100 პროცენტით შეასრულა. შესრულებულია აგრეთვე რძის პროდუქტების დამზადების გეგმა.

განვაგრძობთ ხორცისა და რძის პროდუქტების მიღებას მომავალი წლის ანგარიშში.

1936 წ. ხორცის ჩაბარების ვალდებულებები ჩაბარებულია. ვამთავრებთ ვალდებულებათა შემოწმებას.

საქ. კ.პ. (ბ) ბაღდათის რაიკომის მდივანი **დუმბაძე.**

იტალიის ჯარების შეტევა აბისინიაში

ერთა ლიგის პაქტის [illegible] გამო

ჟენევა, 3 ოქტომბერი. თითქმის უეჭველად შეიძლება ჩაითვალოს, რომ საბჭოს ნაჩქარევად მოწვევა უმთავრესად გადაწყდა ინგლისელთა დაჟინებით მოთხოვნით.

18-თა კომიტეტის სხდომა დღეს დაიწყო. კომიტეტში საბჭოთა კავშირის წარმომადგენლად არის სსრ კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენელი საფრანგეთში პოტიომკინი, რომელიც დღეს ჩამოვიდა ჟენევაში (ადს).

◆

სუვიჩის დეპეშა ერთა ლიგას

ჟენევა, 4 ოქტომბერი. ერთა ლიგამ მიიღო იტალიის მთავრობის [illegible] დეპეშა, რომელსაც ხელს აწერს სუვიჩი: „პატივი მაქვს დავიმოწმო აბისინიის მთავრობის დეპეშა, რომელიც ერთა ლიგის სამდივნომ 2 ოქტომბერს მიიღო.

ამ დეპეშის თანახმად, იტალიის ნაწილებმა იმავე დღეს გადალახეს საზღვარი მუსალის მთის სამხრეთით, აუსის სულთანატში. იტალიის მთავრობას პატივი აქვს ამის გამო გაუწყოთ: ამ ფაქტისაგან დამოუკიდებლად, რომ აღნიშნულ რაიონში ერიტრეის და აუსის სულთანატის საზღვარი ჯერ კიდევ არ არის დადგენილი, ამ რაიონში იტალიის ნაწილების არავითარი მოძრაობა არ მომხდარა. ამგვარად, ზემოთაღნიშნული ცნობა სრულიად მოკლებულია საფუძველს". (ადს).

◆

იტალიის ლონდონელი ელჩის განცხადება

ლონდონი, 4 ოქტომბერი. იტალიის ელჩმა ლონდონში გრანდიმ გუშინ ინახულა საგარეო საქმეთა სამინისტრო და საგარეო საქმეთა მინისტრის მუდმივ ამხანაგს ვანსიტარტს აცნობა, იტალიის შეტევა არის თავდაცვითი ღონისძიება", რომელიც გამოწვეულია აბისინიის მთავრობის ბრძანებით საყოველთაო მობილიზაციის შესახებ (ადს).

◆

იტალიამ უარყო უკანასკნელი წინადადება

პარიზი, 3 ოქტომბერი. „ევრის" მიერ მიღებული ცნობების თანახმად, ლავალმა ჯერ კიდევ გუშინ საღამოს, ვიდრე მუსოლინი სიტყვას წარმოსთქვამდა, იტალიის ელჩს პარიზში მიმართა უკანასკნელი წინადადებით, რაც შემდეგში გამოიხატება: იტალიას მიეცემა მანდატი აბისინიის ყველა განაპირა მიწებზე. ხოლო ცენტრალურ აბისინიაში დამყარდება საერთაშორისო სისტემა, წარმოდგენილი „ხუთის კომიტეტის" მიერ, ამასთან იტალიას მიეცემა სხვადასხვა უპირატესობანი ეს წინადადება არ მიიღეს. (ადს).

◆

ჯარების მობილიზაცია აბისინიაში

ბერლინი, 3 ოქტომბერი. დღეს ადის-აბებიდან ფრონტზე გაიგზავნა ნეგუსის ჯარების ახალი რაზმი, რომელიც 10 ათასი კაცისაგან შესდგება. საყოველთაო მობილიზაცია სრული ტემპით მიმდინარეობს.

ადის-აბებაში სიწყნარეა. (ადს).

ლონდონი, 3 ოქტომბერი. „ტაიმსის" ადის-აბებელი (აბისინია) კორესპონდენტი, ეხება რა იტალიელთა შეჭრას აბისინიაში — მუსა-ალის მთის მიდამოებში, სწერს:

„ახლა ორი ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი წყაროდან (აქედან ერთი ფრანგული წყაროა) დადასტურდა, რომ საზღვარი დარღვეულ იქნა გასულ კვირას, როცა იტალიელებმა სწრაფად წაიწიეს წინ ჯავშნოსანებითა და სატვირთო მანქანებით აბისინიის შიდა ნაწილებში მიმავალი ერთერთი გზის დასწვრივ (სულ ასეთი 6 გზაა) მათთვის წინააღმდეგობა არავის გაუწევია. ამრიგად, იტალიელებმა დაიჭირეს მოხერხებული მოწინავე ბაზა თვითმფრინავებისათვის დასავლეთის ქედებთან, ზღვიდან დაახლოებით 90 კილომეტრის მანძილზე. კორესპონდენტის სიტყვით, იტალიელებმა უკვე გაიყვანეს გზა ახალ ბაზამდე, სადაც თავმოყრილია ადგილობრივ მკვიდრთა დიდძალი ჯარი მცირერიცხოვანი იტალიელი ოფიცრებით, აგრეთვე უკანასკნელი ტიპის თვითმფრინავები.

შემდეგ კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ ამ პუნქტსა და ასაბს შუა თავმოყრილია 60 ათასი კაცისაგან შემდგარი ჯარი. მაგრამ, — განაგრძობს იგი, — წყლის ნაკლებობის გამო, საეჭვოა, ახალ ბაზაზე ამ რიცხვის მეოთხედზე მეტი მოთავსდეს.

„ექსჩეინჯ ტელეგრაფის" აბისინელი კორესპონდენტის გადმოცემით, იტალიის ჯარები, რომლებიც მუსა-ალიში იმყოფებიან, აღჭურვილი არიან 50 თვითმფრინავით, ტანკებით და დიდძალი ტყვიამფრქვევებით

როგორც რეიტერის სააგენტოს ადის-აბებელი კორესპონდენტი იუწყება, აბისინიის ტახტის მემკვიდრე პრინცი, რომელიც დესიეში მყოფ ჯარებს სარდლობს, ღებულობს ზომებს იმისათვის, რომ შეუტიოს საზღვარზე გადასულ იტალიელ ჯარებს.

„მანჩესტერ გარდიანი" იმ აზრს გამოსთქვამს, რომ იტალიის ჯარების მოძრაობა წარმოადგენს მანევრს. რომლის მიზანია აიძულოს აბისინელები —გაიყვანონ ჯარები ტიგრედან და ოგადენიდან. (ადს).

◆

იტალიის ჯარები მთელ ფრონტზე უტევენ

რომი, 4 ოქტომბერი. დღის დილით ოფიციალურ წრეებში ჯერ კიდევ უარყოფდნენ ცნობას, რომ იტალიის თვითმფრინავებმა ადუას ყუმბარები დაუშინეს, სულ ახლა გამოქვეყნებულ ოფიციალურ ცნობაში კი ნათქვამია: „იტალიის თვითმფრინავების ორმა ესკადრილიამ, რომლებსაც თოფებისა და არტილერიის ცეცხლით შეხვდნენ. ყუმბარები დაუშინა აბისინიის შეიარაღებულ ჯარებს. რომლებიც თავმოყრილი არიან ადუისა და ადიგრატის ირგვლივ".

იტალიის ჯარების შეტევა, როგორც იუწყებიან, დღის დილით მთელ ფრონტზე განახლდა. გუშინდელი დღის განმავლობაში იტალიის ჯარებმა წინ წაიწიეს 20 კილომეტრით. სხვადასხვა ადგილას ხდებოდა შეტაკება აბისინიის ჯარებთან (ადს).

◆

ქ. ადუას ჰაერიდან ყუმბარები დაუშინეს

ლონდონი, 3 ოქტომბერი. როგორც „სენტრალ ნიუსის" ადის-აბებელი კორესპონდენტი იუწყება, ოფიციალური ცნობების თანახმად, ჰაერიდან ყუმბარების დაშენისას ადუაში მოკლული და დაჭრილია 1.700 კაცი.

„ბრიტიშ იუნაიტედ პრესის" კორესპონდენტი, რომელიც ერიტრეაში იტალიის ჯარებთან იმყოფება, იუწყება, რომ იტალიის 25 ათასი ჯარისკაცი გადავიდა მდინარე მარებზე. შეტევაზე ქვეითი ჯარები მიჰყვებოდნენ მსუბუქ ტანკებს, რომლებსაც არტილერია იფარავდა. ამავე დროს საჰაერო ესკადრილიები განუწყვეტლივ უშენდნენ ყუმბარებს აბისინიის ტერიტორიას. მზვერავი თვითმფრინავები და ყუმბარმზიდები დაახლოებით 3.300 მეტრის სიმაღლეზე მოქმედებდნენ იტალიელები თავისი ოპერაციების დროს უმთავრესად სარგებლობდნენ „კაპრონის" ყუმბარმზიდებით, რომელთა სისწრაფე საათში 220 კილომეტრზე მეტს უდრის.

როიტერის სააგენტოს ადის-აბებელ კორესპონდენტთან საუბრის დროს ნეგუსმა განაცხადა: „მე ეს-ეს არის მივიღე ცნობა, რომ პირველი ყუმბარა, რომელიც თვითმფრინავებიდან ადუაში ჩამოაგდეს, დაეცა წითელი ჯვრის საავადმყოფოს, და მოჰკლა და დასჭრა მოწყალების დები".

ადის-აბების ცენტრში, რკინისგზის სადგურის მახლობლად, იტალიის საჰაერო თავდასხმის მოლოდინში თავმოყრილია საზენიტო ზარბაზნები. იტალიის დიპლომატიური მისიას ჯარის მრავალრიცხოვანი რაზმები იცავენ. გამოქვეყნდა განკარგულება, რომლის თანახმად ყველა ჯაშუშს და ყველა აბისინელს, რომელიც არ დაემორჩილება ბრძანებას მობილიზაციის შესახებ დაუყოვნებლივ ჩამოახრჩობენ. (ადს).

◆

იტალიის საელჩო გამოცხადებულია აბისინიის ტყვედ

ვენა, 4 ოქტომბერი. სააგენტო „ინტერ ეიშენელ ნიუს სერვისი" იტყობინება. რომ გუშინ ად[illegible] და ადიგრატისათვის (ერიტრეის საზღვართან) ჰაერიდან ყუმბარების დაშენამ დიდი ნგრევა გამოიწვია. მრავალი მსხვერპლია. იტალიის დაახლოებით 20.000 ჯარი, მოტორიზებული და სატანკო რაზმებით ზურგამაგრებული, მძიმე არტილერიის ცეცხლით დაცული, გადავიდა მდინარე მარებზე და მიიწევს აბისინიის შუაგულისაკენ. იტალიის ნაწილებმა ხელთ იგდეს ტყვე აბისინელთა პირველი ჯგუფები, უმეტესად ქალები და ბავშვები. იტალიის ჯარების წინააღმდეგ, რომლებიც მუსალის მთის რაიონში უტევენ, დაძრულია აბისინიის ჯარები, 50.000 კაცამდე. (ერიტრეის მხრიდან ადუას და მუსალის რაიონებში). იტალიელთა შეტევასთან ერთად, დაიწყო შეტევა აგრეთვე იტალიის სომალიდან.

ვალ-ვალის რაიონში მოკლულია 800 აბისინელი ჯარისკაცი, რომლებმაც იტალიელებს წინააღმდეგობა გაუწიეს.

აბისინიის მთავრობამ იტალიის ელჩი ადის-აბებაში გრაფი ვინჩი და საელჩოს მთელი პერსონალი აბისინიის ტყვეებად გამოაცხადა.

საბჭოთა კავშირში

ბაზრობები ოქტომბრის დღესასწაულის წინ

მოსკოვი, 3 ოქტომბერი. 20 ოქტომბრიდან 6 ნოემბრამდე საბჭოთა კავშირის ყველა ქალაქსა და სამრეწველო ცენტრში გაიმართება ბაზრები და ბაზრობები ოქტომბრის დღესასწაულების წინ. სავაჭრო ორგანიზაციები ამზადებენ სხვადასხვა სამრეწველო საქონელს გაიყიდება საჩუქართა და პრემიების სპეციალური ანაწყობი საკოლმეურნეო მინდვრების დამკვრელთათვის.

ო. ნ. მეჩნიკოვა პარიზს გაემგზავრა

მოსკოვი, 3 ოქტომბერი. 3 ოქტომბერს პარიზს გაემგზავრა ოლგა ნიკოლოზის ასული მეჩნიკოვა, რომელიც საბჭოთა კავშირში ჩამოვიდა ი. ი. მეჩნიკოვის სახელობის მუზეუმისათვის გამოჩენილი მეცნიერის ლიტერატურული მემკვიდრეობის გადასაცემად.

ოლგა ნიკოლოზის—ასულმა მუზეუმს გადასცა მეჩნიკოვის მთელი პირადი არქივი. (დღიურები, შავად ჩანაწერები, მიწერ-მოწერა მთელ მსოფლიოს უდიდეს მეცნიერებთან. ოლგა ნიკოლოზის—ასული სსრ კავშირში 1 თვით დარჩა. ამ ხნის განმავლობაში მან მონაწილეობა მიიღო არქივის დამუშავებაში, მეჩნიკოვის გამოუქვეყნებელ ნაშრომთა სისტემატიზაციაში და მათი დასაბეჭდათ მომზადების საქმეში. ოლგა ნიკოლოზის—ასული იყო მოსკოვსა, ლენინგრადსა და კიევში, მონაწილეობდა მეჩნიკოვის ხსოვნისათვის მიძღვნილ საზეიმო სხდომებში, ეცნობოდა საბჭოთა კავშირის კულტსაყოფაცხოვრებო დაწესებულებებს, სახალხო ჯანმრთელობის საქმის მდგომარეობას.

წასვლისას ოლგა ნიკოლოზის—ასულმა მხურვალე მადლობა გადაიხადა მეგობრული მიღებისთვის და აღტაცება გამოსთქვა ყოველივე იმის გამო, რაც სსრ კავშირში იხილა (ადს).

მაღაზიების გადაყვანა სამეურნეო ანგარიშზე

მოსკოვი, 3 ოქტომბერი სსრ კავშირის შინავაჭრობის სახალხო კომისარიატმა გადაწყვიტა სამეურნეო ანგარიშზე გადაიყვანოს სახვაჭრობისა და კოოპერაციის საცალო მაღაზიები დიდ მაღაზიებს საკუთარი საბრუნავი საშუალებები ექნებათ. აგრეთვე საკუთარი საანგარიშსწორებო ანგარიში ბანკში და დამოუკიდებლად დასდებენ ხოლმე გარიგებებს გამსაღებელ ორგანიზაციებსა, ცალკეულ საწარმოებსა და კოლმეურნეობებთან დამტკიცებული სავაჭრო-საფინანსო გეგმის ფარგლებში.

კალუგის სახელმწიფო მუზეუმთან შეიქმნა [illegible] მხატვართა გაერთიანება, რომელშიაც შევიდნენ პროფესიონალი და ფერწერის მოყვარული მხატვრები. მოყვარულთა შორის ბევრია კალუგის ქარხნების მუშები.
სურათზე: კალუგის ელექტრომექანიკური ქარხნის № 3 საამქროს სახეხი განყოფილების ბრიგადირი ამხ. ფ. ა. პრეობრაჟენსკი ეტიუდს ხატავს.

ამხ. მიქოიანი ვორონეჟის ოლქში

ვორონეჟი, 3 ოქტომბერი. წუხელ კვების მრეწველობის სახ. კომისარი ამხ. ა. ი. მიქოიანი ჩამოვიდა ნოვოპოკროვსკის შაქრის ქარხანაში და დაწვრილებით გაეცნო მის მუშაობას. სახკომისარმა ქარხნის მუშაობა კარგად სცნო და მთელი რიგი მითითებანი მისცა ჭარხლის დანაკარგთან საბრძოლველად მუშათა და ინჟინერთა კოლექტივმა იკისრა უკეთესი მუშაობა და პირობა დასდო. სისტემატურად გადაჭარბებით შევასრულებთ დავალებასო.

სახკომისარს განსაკუთრებით ყოფაცხოვრების პირობები აინტერესებდა სახკომისარმა ბრძანება გასცა შაქრის მრეწველობის მთავარ სამმართველოს მიმართ— ახალი ათწლიანი სკოლის აგების შესახებ.

დღეს სახკომისარი იყო სტალინის სახელობის საბჭოთა მეურნეობაში, საბჭოთა მეურნეობა „კრასნოარმეეცში" ინახულა მინდვრები და გაეცნო კომბაინების მუშაობას ჭარხლის აღებაზე (ადს).

საბჭოთა მედიცინის წარმომადგენელნი ანკარას გაემგზავრნენ

მოსკოვი, 3 ოქტომბერი. თურქეთის ჯანმრთელობის მინისტრის მიწვევით, 3 ოქტომბერს სრულიად თურქეთის ექიმთა ნაციონალურ მე-6 კონგრესზე დასასწრებლად ანკარას გაემგზავრნენ: ქირურგთა საკავშირო საზოგადოების თავმჯდომარე, ნეიროქირურგიული ინსტიტუტის დირექტორი მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე ორდენოსანი პროფესორი ნ. ნ. ბურდენკო. მოსკოვის თერაპევტიული საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილე ექიმთა კვალიფიკაციის გაუმჯობესების ცენტრალური ინსტიტუტის პროფესორი რ. ა. ლურია და რსფს რესპუბლიკის ჯანსახკომის უმაღლესი სამედიცინო განათლების სამმართველოს უფროსი, კურორტოლოგიის ცენტრალური ინსტიტუტის დირექტორი პროფესორი გ. მ. დანიშევსკი.

საბჭოთა მედიცინის უდიდესი წარმომადგენლების თურქეთს ეს გამგზავრება პირველია და ხდება სსრ კავშირში თურქეთის მეცნიერთა ვიზიტების პასუხად.

საფრანგეთის კომპარტიის ც. კ-ის პოლიტბიუროს გადაწყვეტილებანი

პარიზი, 4 ოქტომბერი. —„ლუმანიტე" აქვეყნებს საფრანგეთის კომპარტიის ც. კ-ის პოლიტბიუროს გუშინდელი სხდომის ოქმს. პოლიტბიურო იწონებს კომინტერნის VII კონგრესის გადაწყვეტილებებს და რეზოლუციებს, ხაზგასმით აღნიშნავს მათ მნიშვნელობას საერთაშორისო მუშათა მოძრაობის ერთიანობის განხორციელებაში და მიესალმება ამხ. დიმიტროვს, აგრეთვე VII კონგრესის საბჭოთა დელეგაციას. რომელსაც ხელმძღვანელობდა მსოფლიო პროლეტარიატის ბელადი ამხ. სტალინი.

აბისინიაზე იტალიის ფაშიზმის თავდასხმისა და ჰიტლერის გერმანიის მხრივ მთელი რიგი ქვეყნებისათვის მუქარის გაძლიერების გამო, პოლიტბიურო აღნიშნავს, რომ აუცილებელია II ინტერნაციონალის დაუყოვნებლივი დადებითი პასუხი კომინტერნის წინადადებაზე მშვიდობიანობის დასაცავად გაერთიანებული მუშაობის შესახებ პოლიტბიურო მხარს უჭერს ერთა ლიგის წესდების გამოყენებას აბისინიაზე თავდამსხმელი იტალიის წინააღმდეგ, რათა კაცობრიობა გადურჩეს ახალი ომის საშინელებას. პოლიტბიურო აღნიშნავს, რომ „საფრანგეთის, ინგლისის და საბჭოთა კავშირის სამშვიდობო ღონისძიებათა ლოიალურ გაერთიანებას შეუძლია გადაარჩინოს მშვიდობიანობა".

პოლიტბიურო კმაყოფილებას გამოსთქვამს იმის გამო. რომ სოფლად კომპარტიის აგრარულ პროგრამას გულთბილად შეხვდნენ, აგრეთვე იმის გამო, რომ სოციალისტური პარტიის საგანგებო ყრილობა კეთილ-სასურველად მოეპყრა კომუნისტური პარტიის წინადადებას სოფლად გაერთიანებული მუშაობის შესახებ.

პოლიტბიურო მიესალმება პროფკავშირული ერთიანობის განხორციელებას და აღნიშნავს, რომ ამ ფაქტიდან „გამომდინარეობს აუცილებლობა—გავწიოთ წინ პოლიტიკური ერთიანობის გზით".

პოლიტბიუროს გადაწყვეტილებით, კომუნისტური პარტიის კანდიდატებად სენის დეპარტამენტში სენატის მომავალ არჩევნებში დამტკიცებულია მარსელ კაშენი. კლამამიუსი და პლიუინი.

პოლიტბიურომ გადასწყვიტა წინადადება მისცეს პარტიის ცენტრალურ კომიტეტს—პარტიის ყრილობა მოიწვიოს 1936 წ. იანვარში.

◆

სასურსათო მაღაზიის დარბევის ცდა ბერლინში

ბერლინი, 3 ოქტომბერი. გუშინწინ ნეიკელნის მუშათა რაიონში, რეიხელტის ფირმის მაღაზიის წინ რომელიც სურსათ-სანოვაგით ვაჭრობს, მყიდველთა დიდი რიგი იდგა. რიგში უმთავრესად იყვნენ ქალები. რომლებიც კარაქს ღებულობდნენ. თუმცა კარაქს სულ მცირე რაოდენობით იძლეოდნენ, მაგრამ იგი ყველას მაინც არ გასწვდა და რიგში მდგომთა შორის მღელვარება დაიწყო. ხალხში ხშირად გაისმოდა მტრული შეძახილი ფაშისტების წინააღმდეგ, ხოლო შემდეგ რიგში მდგომებმა მაღაზიის დარბევა დააპირეს. სასწრაფოდ გამოიწვიეს პოლიციის მოტორიზებული რაზმი, რომელმაც ქალები გაფანტა და წესრიგი აღადგინა. ბევრი დააპატიმრეს. (ადს).

◆

მდგომარეობა ბულგარეთში

სოფია, 3 ოქტომბერი. შეთქმულების აღმოჩენის გამო შესდგა მთავრობის სხდომა, რომლის შემდეგ პრემიერმა ტოშევმა ბულგარეთის პრესის წარმომადგენლებს განუცხადა, რომ შეთქმულთა სურდათ სახელმწიფოს და მთავრობის მეთაურის მოკვლა. ამ მიზნით მაკედონიის ერთერთი რაზმის ხელმძღვანელი უზუროვი თავის ჯგუფთან ერთად ამ დღეებში გადმოვიდა საზღვარზე და გუშინ დააპატიმრეს სოფელ სლივენიცაში.

საალყო წესების გამოცხადების მომენტიდან სახელმწიფოში მოქმედებენ სამხედრო სასამართლოები. ფაშისტურ პროფკავშირთა გახსნა, რაც მთავრობის მიერ 6 ოქტომბრისათვის იყო დანიშნული, გადაიდო. (ადს).

◆

ყაზბეგის მწვერვალის დაძლევისათვის ფრუნზეს სახელობის ქართული მსროლელი დივიზიის მე-2 შეერთებული ათასეულის დაჯილდოების შესახებ

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება

1935 წლის სექტემბრის 12-დან სექტემბრის 16-მდე ფრუნზეს სახელობის ქართული მსროლელი დივიზიის მეორე შეერთებულმა ათასეულმა უაღრესად ძნელ პირობებში, მთლიად შეჭურვილმა არტილერიით, ტყვიამფრქვევებით, თოფებითა და რადიოთი, სარეკორდო მოკლე ვადაში დასძლია ყაზბეგის მწვერვალი და აღმართა მასზე ამხ. სტალინის ბიუსტი, რომელიც თან აიტანა სხვა საბრძოლო მასალითურთ.

აღნიშნავენ ათასეულის მთელი შემადგენლობის ურყეობას, მედგრობას. ამტანლობას და მტკიცე ნებისყოფას. რითაც მან სძლია უძნელესი დაბრკოლებანი, რომ მიეღწია დასახული მიზნისათვის,—სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ.

1. გამოეცხადოს მადლობა ფრუნზეს სახელობის ქართული მსროლელი დივიზიის მეორე შეერთებული ათასეულის მთელ შემადგენლობას.

2. ყაზბეგის მწვერვალის დაძლევის მონაწილენი, რომელთაც განსაკუთრებით იჩინეს თავი, დაჯილდოებულ იქნან:

ა) სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სიგელითა და თვიური ჯამაგირით:

1. **ნიჟარაძე დავით**—შეერთებული ათასეულის მეთაური;
2. **გორდაძე შალვა**—შეერთებული ათასეულის კომისარი;
3. **პაპიაშვილი კონსტანტინე**—არტილერიის ოცეულის მეთაური;
4. **მიქელთაძე**—ექიმის თანაშემწე;

ბ) სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სიგელითა და 700 მანეთით:

წერეთელი დავით—ოსტატი—ალპინისტი, რომელიც ამ ლაშქრობაში ორჯერ ავიდა ყაზბეგის მწვერვალზე;

გ) სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სიგელითა და 700 მანეთით:

1. **მარრი აკაკი**—ალპინისტი;
2. **გინცბურგი ბორის**— ალპინისტი, რომელიც ამ ლაშქრობაში ორჯერ ავიდა ყაზბეგის მწვერვალზე;

დ) სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სიგელითა და 250 მანეთით:

ჩოფიკაშვილი შ.—წითელარმიელი, რომელიც მეთაურობდა მაშველ რაზმს: ფასანაურის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე;

ე) სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სიგელითა და 200 მანეთით:

1. **მარაკვილიძე დ.**—ათეულის მეთაური, რომელმაც აიტანა მწვერვალზე ამხ. სტალინის ბიუსტი;
2. **მურჩევი**—პროლეტ. ტურიზმისა და ექსკურსიების საზოგადოების ინსტრუქტორი წითელი არმიის ტფილისის სახლში;
3. **ნარიმანიძე გ.**—დივიზიის ფიზიკური მომზადების ინსტრუქტორი;

ვ) სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სიგელით:

1. **თეთრაული ივანე**—ოცეულის მეთაური;
2. **გურული პლატონ**—ოცეულის მეთაური;
3. **ნებიერიძე ბან.**—კავშირგაბმულობის ოცეულის მეთაური;
4. **ქარცივაძე გიორგი**—მესანგრეთა ოცეულის მეთაური;
5. **ჭელიძე ილია**—ათეულის მეთაური;
6. **მოწერელია**—უფროსი ექიმი;
7. **ბურჯანაძე**—ექიმი;
8. **ფოლადიშვილი ვლად.**—არტილერიის უმცროსი მეთაური;
9. **ბალიაშვილი ივანე**—არტილერისტი;

ზ) თვიური ჯამაგირით:

1. **კუჭავა**—ათასეულის შტაბის უფროსი;
2. **მჟავანაძე დავით**—ასეულის მეთაური;
3. **მიმინოშვილი ლ.**—პოლიტიკური ხელმძღვანელი;
4. **პაპუაშვილი ალექსანდრე**—ოცეულის მეთაური;

თ) 100 მანეთით:

1. **ინაშვილი ნიკოლოზ**—წითელარმიელი;
2. **ნამგალაძე დავით**—წითელარმიელი;
3. **ცხოვრებოვი ნიკოლოზ**—წითელარმიელი;
4. **ცხოვრებაშვილი ს.**—წითელარმიელი;
5. **სირბილაძე** წითელარმიელი.
6. **გეურქოვი ბაბკ.**—მესანგრ. ასეულის წითელარმიელი;

ი) 150 მანეთით:

1. **მუსხეინოვი კამ.**—მესანგრ. ასეულის წითელარმიელი;
2. **ჭალალაშვილი დიმ.**—კავშირგაბმულობის უმცროსი მეთაური;
3. **დევიძე ალექსანდრე**—კავშირგაბმულობის უფროსი მეთაური;

კ) 500 მანეთით:

მესხი შალვა მომარაგების უფროსი, რომელმაც განსაკუთრებული ორგანიზატორული ნიჭი და მზრუნველობა გამოიჩინა დაკისრებული ამოცანის ასრულებაში.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოვ. აღმსრ. თ. ჟღენტი.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ბუდუ მდივანი.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივნის მოვ. აღმსრ. ვ. ვაშაკიძე.

1935 წ. ოქტომბრის 4
№ 79—1361, ტფილისი.

◆

„ტყიბული უნდა ჩადგეს მოწინავეთა რიგებში"

ტყიბული, 3 ოქტომბერი. სტახანოვიაბური მეთოდების დანერგვისა და ფართოდ გაშლისათვის პარტრაიკომმა და მაღაროების ტრესტმა გამოაცხადა ბრიგადების შეჯიბრება.

გამოიყო კონკურს-შეჯიბრების შემამოწმებლად ჟიური ამხ. ხვედელიძის თავმჯდომარეობით. ჟიურიში შედიან ამხ. ამხ. ჭეჭინაძე. მხეიძე. სიხარულიძე და „კომუნისტის" წარმომადგენელი.

კონკურსში გამარჯვებულთათვის დანიშნულია მნიშვნელოვანი ჯილდოები. ბრიგადები, რომლებიც გამარჯვებულნი შეხვდებიან ოქტომბრის რევოლუციის 18 წლისთავს, იგზავნებიან ტფილისს 7 ნოემბრის ზეიმზე მონაწილეობის მისაღებად. 10 ოქტომბერს დამკვრელთა შეკრება განიხილავს მაღაროებში გეგმის შესრულების მდგომარეობას და კონკურსის ამოცანებს.

საქართველოს
ეროვნული

ახალგაზრდობის კომუნისტური ინტერნაციონალის VI მსოფლიო კონგრესი

მერვე დღე

3 ოქტომბრის დილის სხდომა

ახალგაზრდობის კომუნისტური ინტერნაციონალის VI მსოფლიო კონგრესზე 3 ოქტომბრის დილის სხდომაზე გრძელდებოდა კამათი ამხ. მიხალის მოხსენების გამო.

ამხ. **ვრეტოსი** (საბერძნეთი) ლაპარაკობს ფაშიზმის უშუალო საფრთხეზე თავის ქვეყანაში. ამ პირობებში ახალგაზრდობის ერთიანი ანტიფაშისტური ფრონტის საკითხი განსაკუთრებით აქტუალური ხდება. ახალგაზრდობის დემოკრატიულ ტრადიციებზე დაყრდნობით, საბერძნეთის კომკავშირი სპობს ძველ შეცდომებს და ამსხვრევს თავისი წინანდელი განმარტოების ჩარჩოებს.

ამხ. **არგირიოვი** (ბულგარეთი) ლაპარაკობს კომკავშირის მუშაობაზე. რეაქცია კომკავშირს სასტიკად სდევნის. იგი მძიმე არალეგალურ მდგომარეობაშია. მაგრამ ბრძოლა დემოკრატიულ უფლებათა დაბრუნებისათვის მაინც სწარმოებს და ახალგაზრდობა თავის გულისყურს მიაპყრობს კომკავშირს, რომელიც ახალგაზრდა თაობის ერთიანი ანტიფაშისტური ფრონტის ორგანიზატორია.

ამხ. **ფოგი** (შვეიცარია) კონგრესს აცნობს თავისი ქვეყნის ახალგაზრდობის ბრძოლას ერთიანი ფრონტისათვის.

ამხ. **ბოილე** (გერმანია) მრავალი კონკრეტული მაგალითით გვიჩვენებს, თუ როგორ მუშაობს გერმანიის კომკავშირი მასობრივ ფაშისტურ ორგანიზაციებში, როგორ ამხელს ფაშისტურ დემაგოგიას და ეწევა ბრძოლას გერმანიის ახალგაზრდა მშრომელთა შრომისა და ყოფაცხოვრების პირობათა გასაუმჯობესებლად.

კონგრესმა დიდი ყურადღებით მოისმინა ამხ. **ბეკელის** (ავსტრია) სიტყვა. ბეკელი დასაწყისში აცხადებს, რომ იგი, ახალგაზრდობის სოციალისტური კავშირის სხვა აქტიურ წევრებთან ერთად, მხოლოდ თებერვლის ამბების შემდეგ გადავიდა კომკავშირის რიგებში.

— მე მრავალ წელს ვიყავი ახალგაზრდობის სოციალისტურ კავშირში,—ამბობს ის, მაშინ ჩვენ გვეგონა, რომ მუშათა კლასის ერთიანობა სოციალ-დემოკრატიული პარტიის რიგებში ხორციელდება, მაგრამ რაც უფრო მეტ აქტივობას იჩენდნენ ფაშისტები, რაც უფრო გვაშფოთებდნენ სოციალ-დემოკრატის ბელადები, მით უფრო ძლიერდებოდა ჩვენი შეშფოთება. 1934 წ. თებერვლის ამბების წინა ხანებში უკვე ვხედავდით, რომ „ერთიანობა სოციალ-დემოკრატიის რიგებში არ შეიძლება ძლევამოსილი ერთიანობა ყოფილიყო.

თებერვლის ბრძოლების დროს ფლორიდსდორფის და ოტაკრინგის ბარიკადებზე ჩვენ დავუახლოვდით კომკავშირლებს, რომლებმაც დაგვანახვეს, თუ როგორ იციან მათ ბრძოლა მშრომელთა უფლებებისათვის. არაფერია გასაკვირი რომ სოციალისტური ახალგაზრდობის საუკეთესო ნაწილი ამის შემდეგ განაგრძობს ბრძოლას უკვე კომკავშირის რიგებში

ამხ. **სოკოლოვსკი** (პოლონეთი) ლაპარაკობს ახალგაზრდობის მდგომარეობაზე პოლონეთის იმპერიალიზმის მიერ დაჩაგრულ დასავლეთ უკრაინასა და დასავლეთ ბელორუსიაში. იგი კონგრესს აცნობს იმ როლს, რომელსაც ამჟამად თამაშობს კომკავშირი ახალგაზრდობის ფართო ნაციონალ-განმათავისუფლებელი მოძრაობის შექმნაში.

დილის სხდომა თავდება ამხ. ზიგელსონის სიტყვით, რომელიც ეხება ახალგაზრდობის კომინტერნის ნორჩი რაზმის მუშაობას ისლანდიაში.

3 ოქტომბრის საღამოს სხდომა

საღამოს სხდომა იწყება ინგლისის კომკავშირის დელეგატ ქალის ამხ. **გრესერის** გამოსვლით. ამხ. გრესერის აზრით, ახალგაზრდობის ეკონომიური ინტერესების ყველაზე აქტიური დაცვა პროფკავშირებს შეუძლიათ.

ახალგაზრდა მუშები მხოლოდ მაშინ შევლენ პროფკავშირებში, როცა დაინახავენ, რომ პროფკავშირები ნამდვილად იცავენ მათ ინტერესებს.

ამხ. **ახია** (ესტონეთი) თავის სიტყვაში ლაპარაკობს იმ შეტევაზე ახალგაზრდობის უფლებათა წინააღმდეგ, რომელსაც ეწევა მთავრობა. მთავრობამ აკრძალა ახალგაზრდობის სასპორტო და სხვა ლეგალური ორგანიზაციები. ახლა მზადდება ახალგაზრდობის ერთიანი ფაშისტური კავშირის შექმნა. გერმანიის ფაშიზმის გავლენა უფრო-და-უფრო იზრდება ესტონეთში.

ხანგრძლივი ტაშით ხვდება კონგრესი 1 წლის ჩინელ პიონერს ვან-ტიანს. გერმანელები მღერიან „ახალგაზრდა გვარდიას“. დელეგატების ჯგუფი მას დიდ თაიგულს მიართმევს. ვან-ტიანს, რომელიც ტრიბუნაზეა, ერთ ხელში ყვავილები უჭირავს, ხოლო მეორე ხელით პიონერულ სალამს იძლევა.

— ძვირფასო დანო და ძმანო!—ამბობს იგი ჩინელი ბავშვების სახელით თქვენ ყველას მხურვალე სალამს გიძღვნით. ჩემი ასაკის და უფრო ახალგაზრდა ბავშვებიც უკვე სწვდებიან კლასობრივი ბრძოლის მეცნიერებას. ისინი იტანჯებიან და კვდებიან სტიქიური უბედურებისაგან, შიმშილობისა და სოლდატებისაგან, ათი წლისამ დავტოვე ოჯახი და ვიწყე პიონერთა რაზმების ხელმძღვანელობა, რასაც კი ვაკეთებდი, მე ვაკეთებდი არა მარტო ჩემთვის, არამედ ათასობით გაუბედურებული ჩინელი ბავშვებისთვისაც.

თავის სიტყვას ვან-ტიანი ასე ათავებს:

— გაუმარჯოს ჩინეთის პიონერებს! გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის პიონერებს!

ვან-ტიანის შემდეგ სიტყვა ეძლევა ამხ. **ანდრეის** (ახალგაზრდობის კომინტერნის აღმასკომი).

ამხ. ანდრეის სიტყვის შემდეგ სიტყვა ეძლევა ამხ. **კლეინს** (ჩეხოსლოვაკია).

★

სხდომის შემდეგ დელეგატებს უჩვენეს „სოიუზკინოქრონიკის“ მიერ გამოშვებული კინო-ფილმი (ადს).

კიროვის პარტრაიკომის პლენუმი

3 ოქტომბერს გაიმართა საქ. კ. პ. (ბ) ტფ. ორგანიზაციის კიროვის რაიკომის მე-4 პლენუმი, რომელსაც დაესწრნენ პარტიული კომიტეტების მდივნები და პარტორგანიზატორები.

პლენუმმა მოისმინა და განიხილა რაიკომის მდივნის მოადგილის ამხ. **ყუჯიაშვილის** მოხსენება რაიონის პარტიულ ორგანიზაციებში პარტიული დოკუმენტების შემოწმების შედეგების შესახებ.

თავის მოხსენებაში ამხ. ყუჯიაშვილმა აღნიშნა: პარტიული დოკუმენტების შემოწმებამ უფრო მაღალ საფეხურზე აიყვანა რაიონში პარტიული მუშაობა, განამტკიცა ორგანიზაციის ბრძოლის უნარი და გააძლიერა შემტევი სიფხიზლე.

მაგრამ ამასთან ერთად გამოაშკარავებულია მთელი რიგი ნაკლი.

ბოლშევიკური სიფხიზლის მოდუნების გამო რაიონის ცალკეულ პარტიულ ორგანიზაციაში თავს იფარავდნენ უცხო ელემენტები, რომელნიც მოტყუებით შემძვრალან პარტიის რიგებში.

აი მათი ვინაობაც:

გრიგოლია (სახბანკის პარტორგანიზაცია) 1932 წლიდან ითვლება პარტიის კანდიდატად. შემოწმების დროს გამოირკვა, რომ ის 1920-21 წ. სავაჭრო - სამრეწველო ბანკში მუშაობდა. მენშევიკური მთავრობის მიერ ის მივლინებული იყო სტამბოლს, ბანკის განყოფილების გასახსნელად. სტამბოლის ბანკის განყოფილებაში მუშაობასთან ერთად გრიგოლია ინგლისის ფირმა „კოსმოსშიც“ მუშაობდა. 1921 წლის დამლევს ამ ფირმამ გრიგოლია ტფილისს გამოგზავნა. მას უნდა დაეგროვებინა დოკუმენტები იმ პრეტენზიისათვის, რომელიც ინგლისის მთავრობამ წარმოადგინა „კოსმოსის“ ტფილისში დარჩენილ ქონებაზე. გრიგოლიამ შეასრულა დავალება და გაბრუნდა უკან სტამბოლს. ტფილისს დაბრუნდა 1922 წლის დამლევს. 1933 წლის დამლევს მან „ტორგსინს“ უკანა კარიდან ჩააბარა 500 მანეთის ოქრო ნიკოლოზის დროის მოჭრილი. ამჟამად ის ამბობს, მხოლოდ გადამცემი ვიყავიო. სწორედ იმ დროს სახბანკში გრიგოლიას „ტორგსინის“ სავალუტო ყასა ემორჩილებოდა. უცხოეთის ფირმაში თავისი მუშაობა გრიგოლიამ პარტიას დაუმალა.

მეორე ფაქტი—თუმანიანის საქმე. წარსულში ის დაშნაკცუთუნის პარტიაში ითვლებოდა. 1919 წელს მსახურობდა დაშნაკური არმიის შტაბში გენერალ ანდრონიკის ადიუტანტ - მთარგმნელად. 1919-20 წ. ის იყო დაშნაკური მთავრობის მინისტრთა საბჭოს კანცელარიის უფროსად, სადაც იგი პრემიერ ხატისოვის შუამდგომლობით მიიღეს. გამოირკვა, ისიც, რომ დაშნაკების ავანტიურის დროს, თუმანიანი ვრაციანის პირადი მდივანი ყოფილა (მაშინდელი პრემიერ - მინისტრისა) იგი თხზავდა ცრუ ცნობებს ერევანზე ბოლშევიკების შეტევაზე და დაშნაკცუთუნის პარტიის ერთ-ერთი მებრძოლი წარმომადგენელი იყო. დაშნაკების გამოსვლის ჩაქრობის შემდეგ ის მიემგზავრება თავრიზს ზანგეზურით ვრაციანთან ერთად და შემდეგ ტფილისს ბრუნდება. 1929 წელს პარტიის წმენდის დროს იგი გამორიცხულ იქნა პარტიიდან ყოველივე ზემოხსენებულისთვის, აგრეთვე იმიტომ, რომ პარტიას დაუმალა თავისი წარსული. მაგრამ 1930 წ. იგი აღდგენილ იქნა პარტიაში.

ქულიკი **მირაზოვი** 1918-დან 1919 წლამდე ითვლებოდა აშკარა კონტრრევოლუციონერის ჯანგირბეგის ბანდიტთა რაზმში და ბანდიტების ჯგუფს ხელმძღვანელობდა. 1920 წლიდან—1923 წლამდე ტფილისში იყო. მაგრამ 1921 წ. წავიდა სარდარაბადს და კვლავ შევიდა ჯანგირბეგის კონტრრევოლუციურ რაზმში, რომელიც დაშნაკებთან ერთად საბჭოთა ხელისუფლების შესამუსრავად იბრძოდა სომხეთში. შემდეგ ის მონაწილეობას ღებულობდა ბანდიტ ჯანგირბეგის პატივსაცემად გამართულ ქეიფში, როდესაც ეს უკანასკნელად იდუმალად ჩამოვიდა ტფილისს. უფრო მეტიც: ბანდიტის შეპყრობის შემდეგ, მირაზოვი მონაწილეობას ღებულობდა ბანდიტ ჯანგირბეგისათვის ფულის შეგროვებაში. სტუდენტობის დროს. თავისი არაკომუნისტური მოპყრობით მირაზოვმა ცოლი თავის მოკვლამდე მიიყვანა. მირაზოვი, როგორც ქულიკი, რომელმაც პარტიას დაუმალა თავისი კონტრრევოლუციური წარსული, ანგარიშიანი მოსაზრებით შეძვრა პარტიაში, გარიცხულია საქ. კ. პ. (ბ) რიგებიდან.

შემოწმების დროს რაიონში პარტიის რიგებიდან გამოვრიცხეთ 238 წევრი და 99 კანდიდატი. ბოროტად მოარიდა შემოწმებას თავი ორმა დღემდე ორგანიზაციაში ითვლება 73 „მკვდარი სული“.

კამათში გამოვიდნენ: ამხ. **მირზოიანი** (ტყავის ქარხანა № 1), **დვალიშვილი** (ფეხსაცმლის ფაბრიკა № 1), **ხერუმიანი** (ამიერ-კავკასიის ცაკი), **იუზეფოვიჩი** (საქ. სახკომსაბჭოს დამხად. კ-ტი), **ბიბინეიშვილი** (სახელგამი), **ოსიპოვი** („წითელი მტვირთავი“), **მელნიკოვი** (გამსახლი), **შერბიცკაია** („ზაკმეტტორგ“), **სილაძე** (ცეკავშირი), **მალალაშვილი** (საქცაკი) და **მინდიაშვილი** (მკერავი № 2).

საქ. კ. პ. (ბ) ტ. კომიტეტის მდივანმა, ამხ. **გობეჩიამ**, რომელმაც კამათში მიიღო მონაწილეობა, მთელი რიგი მორიგი ამოცანები დააყენა რაიონის პარტიულ ორგანიზაციის წინაში.

დასასრულ პლენუმმა ერთხმად მიიღო რეზოლუცია, რომლითაც მოიწონა რაიკომის მიერ პარტიული დოკუმენტების შესამოწმებლად მიღებული ზომები და დასახა კონკრეტული ღონისძიებანი. რომელნით მიმართული არიან პარტიული მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისაკენ.

სახელმწიფო აქტის ჩაბარება

იცოცხლეთ. იბედნიერეთ!

გეგუთის კოლმეურნეობა იბარებს აქტს.

ზაფხულის გამომშვიდობება ჯერ არ დასტყობია აჭარის მთების კალთებს: ისევ მწვანედ გადმოყურებენ რიონის დაბლობს. მხოლოდ ჭალების გადამხმარი ბალახი, ცაცხვებისა და ჭადრების შეყვითლებული ფოთლები, აჩეხილი ყანები, აქაიქ დაგროვილი ჩალა, მტევნებით დახუნძული ვაზები გვაუწყებენ, რომ მოსულა დრო სიმწიფისა და რთველისა.

ლარივით გაჭიმულ გზატკეცილზე დგება ბუღი. მოტორების გუგუნი და ავტოების სირენების კივილი არღვევს მყუდროებას. ქალაქი დაძრულა სოფლისაკენ.

ორი თვეა კოლმეურნეობებში მუშაობენ მიწადმომწყობნი. მათ უკვე გაზომეს ყანა-მინდვრები და საკარმიდამო ნაკვეთები. ზოგს ჩამოუჭრეს, ზოგს მოუმატეს, ზოგს გადაუნაცვლეს და ამგვარად ჩამოაყალიბეს ერთი მთლიანი, უხარვეზო მიწის მასივები.

დღეს სარაიონო საბჭოს პრეზიდიუმი განიხილავს და დაამტკიცებს მათ, ხოლო ხვალიდან ეს მოწყობილი მიწის მასივები გადაეცემა კოლმეურნეობებს მუდმივ, საშვილიშვილო სარგებლობისათვის.

ქუთაისის საბჭოს პრეზიდიუმის გამსვლელი სხდომა იმართება სოფ. პატრიკეთში. სხდომას ესწრებიან არტელების თავმჯდომარეები და ზოგიერთი კოლმეურნენი.

პრეზიდიუმი ისმენს არტელებში დამთავრებულ მიწადმოწყობის შედეგებს.

აქტის ჩაბარების პირველი ბედნიერება ქუთაისის რაიონში წილად ხვდა ზემო გეგუთის არტელს „წინსვლას“.

— ჩვენს არტელს აფასებენ, ჩვენი იონა მიწვეული იყო მოსკოვს კოლმეურნეთა ყრილობაზე, იონას უსაუბრია სტალინთან,—სიამაყით ამბობენ „წინსვლელები“.

მაგრამ ცნობა, რომ ხვალ აქტი გადაეცემა „წინსვლას“, მაინც მოულოდნელი იყო. შეფიქრდნენ: მომზადებული არ ვართ ღირსეულად შევხვდეთ ამ დიად დღესო.

— ჭირში არ შევრცხვენილვართ, ლხინში რად უნდა შევრცხვეთ, აბა დავტრიალდეთ ბიჭებო,— და სხდომაზე ნამყოფი კოლმეურნეები მოედვნენ უბნებს. სოფლის ორღობეებიდან ხან იქ, ხან აქ ელვასავით გამოანათებს ხოლმე ორი ბრდღვიალა თვალი. ეს იონა დაქრის ავტოთი უბანუბან და სასწრაფოდ მოუხმობს თავის ბრიგადირებს და სოფლის აქტივისტებს.

ერთი საათი კიდევ და კოლმეურნეობის შენობაში თავმოყრილი ახალგაზრდები სწერენ ლოზუნგებს, ხატავენ პლაკატებს. ჰკრავენ თაიგულებს, თათბირობენ ეზოში სახელდახელო საბავშვო მოედნის მოსაწყობად, რათა ზეიმს არ დააკლდეს არც ერთი დიასახლისი.

დღიური შრომით დაღლილ სოფელს არ ძინავს. შუა ღამე გადასულია. მაგრამ ახლად წამოდგმულ ოდებში კიაფობს სინათლე და აქა-იქ გიზგიზებს შუაცეცხლი.

სკოლის ეზოში წამოწოლილი შევცქერი ვარსკვლავებით მოჭედილ უმთვარო ცას და განვაგრძობ დღევანდელი შთაბეჭდილებით აღძრულ ფიქრს.

აი როგორია დღევანდელი სოფელი: რამდენი ახალი ძალა ჰყავს მას, რამდენი ორგანიზატორი. სადღაა წინანდელი გლეხი, რომელსაც პოეტი მწარე ამოოხვრით ათქმევინებდა:

„ერთ ზეცის ქვეშა ვართ ლაბაც
მე და შენ,
წილად გვარგუნეს შავი მიწა
ჩვენ“...
„მეც შენებრ მიწას დავყურებ
თვალით,
რადგანაც ზეცა წამართვეს
ძალით“.

გლეხის უბედურება ის იყო, რომ მას ხარსავით ქაპანი არგუნეს და არა მიწა. მიწა წაართვეს და არა ზეცა. მიწა თავად დაისაკუთრეს, ზეცა კი დაუთმეს გლეხს ღმერთთან სავედრებლად.

გეოლოგიური კატაკლიზმებივით ძლიერმა ძვრამ, სოციალური ფენების გადალაგებამ წარმოშვა ახალი მიწა მხოლოდ მშრომელთა სარგებლობისათვის. რა შეიძლება შეედაროს იმ აქტს, რომელიც ამ ბუმბერაზ სოციალურ ძვრას აგვირგვინებს?

მახსოვს, თუ როგორ შეხვდა ამ ათი წლის წინათ ამ სოფლის, სწორეთ ამ გეგუთის გლეხობა პირველი სარწყავი არხის გახსნას. მაშინაც იყო ზეიმი და სიხარული. მაგრამ დღევანდელი დღის განცდა შეუდარებლად უფრო ღრმაა და ძლიერი, რადგან კოლმეურნე გლეხობა გრძნობს, რომ ხვალინდელი აქტით დაგვირგვინებული საკოლმეურნეო წყობა იძლევა მრავალი ისეთი არხის და სხვა უფრო სრულყოფილ ნაშენთა აგების უსაზღვრო შესაძლებლობას.

დღეს გაგვაცნეს ყველაზე ხნიერი მოხუცი ამ რაიონში—დავით მაჩილაძე. სიბერისაგან იგი ძლივს ლაპარაკობს, მაგრამ მისი ოდნავ მბჟუტავი თვალები, ღვიმღებივით ჩაღრმავებულ უპეებში ნაპერწკლებივით აენთნენ, როცა გაიგო, თუ რა ბედნიერი დღე უთენდებოდა ხვალ გეგუთს, სოფელს, სადაც გაატარა მან თავისი ასოცდახუთი წლის სიცოცხლე, ჩვენ ვთხოვეთ მას თავისი ხანგრძლივ წარსულიდან გაეხსენებია თუნდაც ერთი შემთხვევა, რომელსაც სოფლის საყოველთაო სიხარული გამოეწვიოს. და მან ვერც ერთი ასეთი ამბავი ვერ მოიგონა. ჩვენ გამოვკითხეთ მას ამ სოფელში მომხდარი ერთი ისტორიული ეპიზოდი. იგი მაშინ დაბადებული არ იქნებოდა, მაგრამ ამ ეპიზოდის უშუალო მომსწრე თავის პაპისაგან მაინც გაიგონებდა მას. ეს ისტორიული ქრონიკა, რომელიც შეუდარებელი ეპიური სიმშვიდით აქვს ნაამბობი პოეტ აკაკი წერეთლისათვის ვინმე სიკო კანდელაკს, გადმოგვცემს ბრძოლას სოლომონ პირველისას რაჭის ერისთავ როსტომთან. რაჭის ფეოდალი 30 წელს ეურჩებოდა გაძლიერებულ მეფის ხელისუფლებას. ერისთავი არაფრის წინაშე არ იხევდა, რომ შეენარჩუნებია დამოუკიდებლობა. ოსმალებთან გადამწყვეტი შეტაკების დროს ხრესილში, როსტომი გადაუდგა მეფეს და მტერს მიემხრო. სოლომონმა დროებით გულში ჩაიკლა ამ მზაკვრობით აღძრული ბოღმა და მრავალგზით სცადა, მაგრამ ამაოდ ამ მოუდრეკელი ძლიერი ფეოდალის შერიგება, რომ შემდეგ სამაგალითოდ დაესაჯა ვერაგობისთვის. ბოლოს, მეფემ ქუთათელი კათალიკოზის მოციქულობით როსტომი მისი ოთხი ვაჟით ქუთაისს ჩაიტყულა, დიდებული ნადიმი გაუმართა და მეორე დღის საირმეს სანადიროდ წასვლა შესთავაზა. ნოემბრის ბნელ ღამეს, როცა ნადირობიდან გეგუთს დაბრუნებულმა როსტომმა თავისი ოთხი ვაჟით ღამის გასათევად ფეხი შესდგა მეფის ერთგულ ვასალის — თავად იაშვილების კარმიდამოში, ჩასაფრებული აზნაურები მისცვივდნენ მამაშვილებს და თვალები დასთხარეს. ეს ამბავი ახსოვდა მოხუცს.

ამგვარად უკანასკნელი აქტი ამ სისხლიანი ტრაგედიისა, რომელიც ბოლოსდაბოლოს წარმოადგენდა ბრძოლას შეუზღუდავი ბატონობისთვის მიწაზე, და მიწის-მუშა გლეხკაცობაზე გათამაშდა აქ—სოფელ გეგუთში, სწორედ ამ ეზოში, სადაც ხვალ უნდა შესრულდეს იმავე მიწის სარგებლობასთან დაკავშირებული, მაგრამ სულ სხვა ხასიათის, წარმოუდგენლად უფრო ღრმა ისტორიული მნიშვნელობის დიადი აქტი.

ეს არის ორი ეპოქის გამომხატველი აქტების იშვიათი შეხვედრა ერთდაიმავე ადგილზე. ორი პოლიუსი: ერთია—აქტი უბედურების, ხოლო მეორე ბედნიერების. ერთი მოხდა ღამის სიბნელეში, მეორე უნდა მოხდეს ხვალ, ოქტომბრის მზით გაბრწყინებულ დღის სინათლეში.

*

დილით ადრე უკვე ტრიბუნა მზად არის.

პლაკატები ტრიბუნაზე, პლაკატები კედლებზე და ხეებზე წარწერით: „გაუმარჯოს სტალინური წესდების ორგანიზატორს პირველ კოლმეურნეს, უსაყვარელეს ბელადს ჩვენს სტალინს“.

— „კოლმეურნე გლეხობას სხვისი მიწა არ უნდა, მაგრამ არ დასთმობს არც ერთ მტკაველს სამუდამოთ მოპოვებულ მიწისას“.

ნაშუადღევის პირველ საათიდან იწყება დენა მოპატიჟებული სტუმრებისა. მოდიან ქალაქებიდან და სოფლებიდან. შემოქრის ფერად ტანსაცმელში ჩაცმულ პიონერებით დახუნძული საბარგო მანქანები, რომელნიც ნაირნაირ ყვავილთა უზარმაზარ თაიგულებს მოგაგონებენ. მათ უკან მოსდევს № ესკადრონის ცხენოსანთა რაზმი. აფრიალებულ დროშებით მიქრიან ავტობუსები—მოჰყავთ ქუთაისის საწარმოთა მუშები. სკოლაში მისასვლელი გზა 300 მეტრის სიგრძეზე უკვე ვეღარ იტევს ქალაქიდან ჩამოსულ ჩამწკრივებულ მსუბუქ ავტოებს, დიდ ავტომანქანებს და ავტობუსებს. გზის მეორე მხარეზე დარაზმულან მოწაფეები, პიონერები, ფიზკულტურელები. ერთი მეორეზე მწყობრად რაზმებით შემოდიან მეზობელი სოფლების კოლმეურნე გლეხები. მათ დინჯი ნაბიჯით წინ მოუძღვიან მოხუცი, გრძელწვერიანი მედროშეები მაყრულის მღერით ცხენებს მოაჭენებენ ბაღდადელი კოლმეურნეები.

ახალ მოსულებს ეგებება სამი სასულე ორკესტრის ხმაშეწყობილი გუგუნი.

უკანასკნელად ამ მოზეიმე ხალხს უერთდებიან „წინსვლელები“, და დგება ზეიმის დაწყების დროც.

ტრიბუნაზე ადის „წინსვლის“ თავმჯდომარე ამხ. **იონა ფესტვენიძე**. მას მიყვებიან კომკავშირული მოდგმის ბოლშევიკები—ამხ. **თ. კორხაველი, ამ. რამიშვილი, ხ. ჯაფარიძე, ონ. გველესიანი, შ. ჩხეიძე**.

საზეიმო კრებას ხსნის ამხ. იონა. ეს დინჯი, მუხასავით მკვრივი ვაჟკაცი მოზღვავებული ბედნიერებისაგან სამიოდე წინადადების თქმას და ახერხებს. გრიალებს ტაში. გუგუნებენ ორკესტრები. დაჭიმული გულისყურით უსმენს ხალხი ქალაქის საბჭოს თავმჯდომარეს ამხ. ონ. გველესიანს. იგი განმარტავს აქტის მნიშვნელობას და, აბარებს რა ხელში თავმჯდომარეს მიწის სამუდამო სარგებლობის აქტს, უსურვებს კოლმეურნეობას შემდგომ წინსვლასა და ბედნიერებას.

გაორკეცებული გარჯა მოსავლიანობის გასადიდებლად, შეძლებული ცხოვრების მოსაპოვებლად; შეუნელებელი სიფხიზლე ბოლშევიკურ კოლმეურნეობისათვის ბრძოლაში,— ეს იქნება ჩვენი მუდმივი ვალდებულება პარტიისა და ხელისუფლების წინაშე ამ დიდი ბედნიერების საპასუხოდ, ამ სიტყვებით იბარებს იონა აქტის ფურცელს და მოწიწებით იღებს კალამს ხელმოსაწერად.

სულგანაბული ადევნებს ხალხი თვალს ამ პროცედურას. მქუხარე ტაში და ძახილი „გაუმარჯოს ჩვენ საყვარელ ბელადს—დიდ სტალინს“ გაისმის კიდით კიდემდე. გეგუთელი პიონერი გოგონა ქენია მამისეიშვილი თავაზობს იონას თაიგულს და სკოლის სახელით პირდება, რომ ბეჯითი სწავლით ასახელებს მოწინავე კოლმეურნეობა „წინსვლას“.

საზეიმო განწყობილებას აძლიერებს ამხ. **ამბროსი რამიშვილი**, რომელიც პარტიის ც.კ.-ის და მთავრობის სახელით მხურვალეთ მიესალმება კოლმეურნეებს. ამხ. ამბროსის სიტყვით აგზნებულ მიტინგის ტაშის ქუხილს უერთდება გამაყრუებელი გუგუნი ხეების სიმაღლემდე დაშვებულ თვითმფრინავისა. მისი სალმებლად გამოწვდილ ხელების ქნევით დიდხანს დასტრიალებენ მფრინავები მოზეიმე სოფელს.

დაბლა კი მიტინგი ისევ გრძელდება. ტრიბუნაზე ერთი მეორის ცვლიან ფაბრიკა-ქარხნების, კოლმეურნეობების, სას. საბჭოების, ჯარის ნაწილების წარმომადგენლები. ბევრი მათგანი ვერ პოულობს სიტყვას უსაზღვრო სიხარულის გრძნობის გამოსათქმელად.

— გაუმარჯოს ჩვენი ქვეყნის სიამაყეს, ჩვენს მოამაგე ბელადს სტალინს; სალამი კოლმეურნეთა მეგობარს—სახელოვან ბოლშევიკს —ბერიას.—ამ სიტყვებით მიაცილებს ხალხი ტრიბუნიდან გადმოსულ ყოველ ორატორს.

ვიდრე სულ არ ჩამობნელდა, სკოლის ეზოში არ შეწყვეტილა ფიზკულტურელთა ვარჯიში, სიმღერა და ცეკვა-თამაში. ეს არ იყო მარტო არტელ „წინსვლას“ დღესასწაული. იგი მთელი ქუთაისის რაიონის, ქალაქისა და სოფლების გაერთიანებული სახალხო ზეიმი იყო, რომელსაც განახლებულმა ქუთაისმა თავისი ავტომანქანებით, თვითმფრინავებით, ტრაქტორებით, ორკესტრებით. ფიზკულტურელთა რაზმებით ინდუსტრიალური შნო და ლაზათი მისცა.

ვანო წულუკიძე.

თენგიზ ჟღენტი

სტალინი 1903 წელს ქუთაისის ციხეში და 1905 წელს გურიაში

(მოგონება)

> „პირველი რევოლუციის პერიოდში 1905-7 წლებში ამხ. სტალინი იყო ლენინური ხაზის მტკიცე გამტარებელი, ამიერ-კავკასიის ბოლშევიკთა და რევოლუციურ მუშათა და გლეხთა ბელადი და ხელმძღვანელი“.
>
> ამხ. ლ. ბერიას მოხსენებიდან ტფილისის პარტაქტივზე 1935 წ. 21—22 ივლისს.

როგორც 1905 წელს, ისე მის წინა და შემდგომ პერიოდში, საქართველოსა და ამიერ-კავკასიაში — ყველგან, სადაც კი რევოლუციური მოძრაობის და პარტიული მუშაობის მნიშვნელოვანი პუნქტები იყო — ტფილისი, ბაქო, ჭიათურა, ბათომი, ქუთაისი, ხონი, გურია და სხვ. — სტალინი იქ არის, იცავს რევოლუციური მარქსიზმის თეორიას და ტაქტიკას, ფარდას ხდის სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში დაბუდებულ წვრილბურჟუაზიულ მიმართულებას, ამზადებს და ჰქმნის ბოლშევიკურ კადრებს, რომელნიც მას გვერდში ამოუდგნენ თვითმპყრობელობასთან და ბურჟუაზიულ პარტიებთან ბრძოლაში.

ამ პერიოდში ამხანაგი სტალინის როლი, მისი თეორიული და რევოლუციური მუშაობა, მის მიერ ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ხელმძღვანელობა მიუდგომლად გააშუქა ამხ. ლ. ბერიამ თავის მოხსენებაში ტფილისის პარტაქტივის კრებაზე 1935 წლის ივლისში და ნიღაბი ახადა ყველა ჯურის ოპორტუნისტებს, ბოლშევიკურად ამხილა ცალკე ბოლშევიკების შეცდომები და ამიერ-კავკასიის პარტიულ ორგანიზაციებს მისცა მითითება, თუ როგორ უნდა იწერებოდეს რევოლუციური მოძრაობის და პარტიული მუშაობის სახელოვანი ისტორია.

ეს გარემოება იმდროინდელ მომუშავეთ გვავალებს გავიხსენოთ და აღვადგინოთ წარსული პარტიული და რევოლუციური ბრძოლის ცალკე მომენტები და ხელი შევუწყოთ ამიერ - კავკასიის პარტორგანიზაციების ისტორიის შევსებას.

საერთაშორისო მუშათა კლასის ბელადს ამხ. სტალინს (რომელსაც მაშინ სოსოს ეძახდნენ) გურიის პარტმომუშავენი და მოწინავე გლეხობა იცნობდნენ ჯერ კიდევ ცხრაასიან წლებიდან, როდესაც გურიაში იმატა და ფართო ხასიათი მიიღო აგრარულმა მოძრაობამ. ცნობილია, რომ ამ დროს როგორც ბათომში, ისე გურიაში მასობრივი პროპაგანდა - აგიტაცია არ სწარმოებდა. აქა-იქ მესამე დასის ოპორტუნისტული ფრთის წარმომადგენლები და მათი თანამოაზრენი ტრიალებდნენ ვიწრო ინტელიგენტურ წრეში და მასებში პროპაგანდა-აგიტაციის გადატანას საჭიროდ არ სთვლიდნენ.

მუშათა ფართო მასებში მარქსისტული იდეების გავრცელება და მასობრივი აგიტაცია - პროპაგანდა ბათომში პირველად ამხ. სტალინის ხელმძღვანელობით დაიწყო და რადგან ბათომის მუშების უმრავლესობას გურულები შეადგენდნენ. გლეხთა მოძრაობა გურიაში თავიდანვე ბათომის მუშათა მოძრაობის გავლენის ქვეშ მოექცა.

8—9 მარტის ამბებმა, ბათომის მუშების წინააღმდეგ მიღებულმა ადმინისტრატიულმა ზომებმა, ასობით მუშების გადასახლებამ თავიანთ სოფლებში უფრო მეტად გააძლიერა გურიაში აგრარული და რევოლუციური მოძრაობა.

1902 წელს ეს მოძრაობა საგონებელში აგდებს კავკასიის უმაღლეს მთავრობას. ქუთაისის გუბერნატორი სმაგინი სოფელ-სოფელ დადის, მიმართავს სოფლების წინააღმდეგ რეპრესიებს, „ბუნტის თავებს“ აპატიმრებს და ქუთაისის ციხეში მიერეკება. გუბერნატორმა შვიდ სამამასახლისოს წაართვა მამასახლისის არჩევის უფლება და დაუყენა მთავრობის მამასახლისები, რომელთა შესანახი თანხა საზოგადოებებს დაეკისრა.

1902 წელს მიქელგაბრიელში, გურიანთაში, ჰუფსაში და დასავლეთ გურიის სხვა სოფლებში დააპატიმრეს 250 გლეხი. მათგან 30 გადაასახლეს რუსეთის შორეულ გუბერნიებში. მოძრაობის ამ პერიოდთან მჭიდროდ არის დაკავშირებული ამხანაგ სტალინის სახელი. ბათომის მოწინავე მუშები უხსნიდნენ გურიის გლეხებს ბათომის ამბების მნიშვნელობას, იქაურ მუშაობას, სტალინის ხელმძღვანელობას, ფართოდ ავრცელებდნენ და უკითხავდნენ გლეხებს 8 და 9 მარტის ამბების გამო გამოცემულ პროკლამაციებს. მოწინავე გლეხებისათვის ცნობილი გახდა, ისიც, რომ ამ პროკლამაციის ავტორი იყო სოსო (სტალინი). სამწუხაროდ, ამ პროკლამაციას დღემდე არ მოუღწევია ის მეტად მგრძნობიარით იყო დაწერილი და გლეხები მის კითხვაზე ცრემლს ვერ იკავებდნენ. მახსოვს. პროკლამაცია ასე იწყებოდა: ვაჟკაცებო, სალდათებმა დახოცეს მუშები, პატიოსანი მუშები, ქვეყნის ძუძუსმაწოვებელი მუშები, ერთხელ კიდევ გადაიხარხარებენ ჩვენი დამჩაგვრელები ერთხელ კიდევ აქვითინდება ჩვენი ცოლშვილი და ყველა ეს იმიტომ, რომ მუშებს მოსწყინდათ ძაღლური ცხოვრება და სხვ. პირველ პროკლამაციას მოსდევდა მეორე ფურცელი, სადაც ნათქვამი იყო: ამხანაგებო და მოქალაქენო, გახსოვთ მარტის შესანიშნავი დღეები—8 და 9 მარტი. როდესაც სამართლიანობის ხმა მეხივით დაგრიალდა ბათომში. ჩვენს პატარა ბათომს ალყა შემოარტყეს. ზარბაზნები სასროლად გამოუყენეს და ქუთაისიდან მოყვანილ სალდათ—ყაზახებით აავსეს ქუჩები და ზავოდები. რა მოხდა ნეტავი მაშინ ბათომში? და სხვ.

გურიის სოფლებს მოედო სტალინური პროკლამაციები. წაკითხვის შემდეგ იმართებოდა სჯაბაასი და ახსნა-განმარტება. თვითმპყრობელობის საწინააღმდეგო მოძრაობა მასობრივ ხასიათს ღებულობდა.

გურიაში იწყება სისტემატური, უფრო ორგანიზებული მუშაობა და პროპაგანდა-აგიტაცია. სტალინი ბათომში დააპატიმრეს და ქუთაისის ციხეში გაგზავნეს. ადრე ჩვენც დაგვაპატიმრეს გურიაში. ეს იყო 1903 წლის ივლისი. პირადად სტალინს არ ვიცნობდი. გულისცემით მოველოდი სტალინთან შეხვედრას და მის გაცნობას. ის იჯდა ქუთაისის ციხის პირველ „სეკრეტში“ ციხეში მას წვერი მოუშვა. ჩვეულებად არ ჰქონდა წელზე ქამრის შემორტყმა, დადიოდა გრძელი, გადაწყობილი შავი თმით.

როდესაც პოლიტიკურები გასასეირნებლად გამოგვიშვეს, ამხანაგ სტალინს სწორედ იქ შევხვდი და გავიცანი. პარტიის მეორე ყრილობას მუშაობა ჯერ კიდევ არ ჰქონდა დაწყებული. სტალინმა უკვე მაშინ განსაზღვრა მომავალი მენშევიკების წვრილბურჟუაზიული ფიზიონომია. სტალინს უამბე, თუ რა ხდებოდა გარეთ, როგორ მიმდინარეობდა სოფლად მუშაობა და თან დაუმატე ბათომის ყრილობის და მისი შემადგენლობის შესახებ (ეს ყრილობა მოხდა ბათომში 1903 წლის მაისის დამლევს: ყრილობის მონაწილეთა აბსოლუტურ უმრავლესობას შეადგენდნენ მომავალი მენშევიკები. იხ. ამის შესახებ „ისკრა“ № 104). ბათომის ყრილობას სტალინმა „ლიბერალების ყრილობა“ უწოდა. სტალინის ასეთმა შეფასებამ ჩემში გაოცება გამოიწვია. მაგრამ მალე ყველაფერი გასაგები შეიქნა, როდესაც სოციალ - დემოკრატიულ პარტიაში ორი მიმართულება ჩამოყალიბდა — მენშევიკურ - ოპორტუნისტული და მარქსისტულ - რევოლუციური (ბოლშევიკური).

სტალინი მთელს ციხეში, დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა, მიუხედავად იმისა, რომ ამ დროს იქ მასზე უფრო ხნიერი სოციალ-დემოკრატები ისხდნენ. ციხეს დღითიდღე ემატებოდენ როგორც მუშები და გლეხები, ისე ინტელიგენტები.

სტალინის ინიციატივით ციხეში დიდი გაფიცვა მოეწყო. ეს იყო პატიმართა პირველი პროტესტი ქუთაისის ციხეში. გარდა ფიზიკური სასჯელისა (ბორკილები, როზგი და სხ.), ციხის ადმინისტრაცია პატიმრებში, განსაკუთრებით სისხლის სამართლის დამნაშავეთა შორის, ნერგავდა ციხის ადმინისტრაციისადმი ლაქიობას, ერთიმეორეში შუღლსა და მტრობას, ღვთისმსახურებას (ციხის ეკლესიაში სისტემატურად წირვა-ლოცვის მოსმენა) და სხვ.

სტალინმა ამ გარემოებას მიაქცია ყურადღება, დარაზმა პოლიტიკურები და ციხის ადმინისტრაციას წაუყენა შემდეგი მოთხოვნები: ნარების მოწყობა ციხეში (ტუსაღები ცემენტის იატაკზე წვებოდნენ). დოვეტროში გაშვება ტუსაღის მოთხოვნისამებრ, თვეში ორჯერ აბანო. ციხის მცველების მხრივ ზრდილობიანი მოპყრობა, და სხვ. ტუსაღების ამ მოთხოვნას მოჰყვა ციხის კარებზე დარტყმა. ციხის კარები რკინისა იყო და ამ დარტყმამ მთელი ქუთაისი ფეხზე დააყენა. ციხეს შემოარტყეს მთელი პოლკი. მოვიდნენ გუბერნატორი, პროკურორი, პოლიციის მოხელეები. ციხის კანტორაში გამოიძახეს ამხანაგ სტალინი, რომელმაც ეს მოთხოვნები უშიშრად წარუდგინა გუბერნატორს. დერეფნებში ჩააყენეს ჯარისკაცები, ციხეში გამოაცხადეს საალყო წესები.

ამ პროტესტმა (გაფიცვამ) დიდი გავლენა მოახდინა ტუსაღებზე. მოთხოვნები დაკმაყოფილებულ იქნა. მაგრამ ტუსაღები მაინც დასაჯეს ორი კვირით ცხელი საჭმლის წართმევით და ნათესავების ნახვის აკრძალვით.

ამ გაფიცვის შემდეგ ყველა პოლიტიკურებს ერთად მოუყარეს თავი ჯერ მე-5 კამერაში, შემდეგ ქვემო სართულის მე-3 კამერაში. ეს ყველაზე ცუდი კამერა იყო. სტალინი და მისი ამხანაგები აქ მოგვათავსეს. ციხის ადმინისტრაციის მიზანი იყო სტალინი და სხვა პოლიტიკურები გაეცალკევებინათ დანარჩენი ტუსაღებისაგან. შექმნილი მდგომარეობა ამხანაგმა სტალინმა კიდევ უფრო უკეთესად გამოიყენა. რადგანაც ყველა პოლიტიკური ერთ კამერაში იყო თავმოყრილი, ამხანაგ სტალინს შეძლება მიეცა მოეწყო წრე, სადაც იგი სისტემატურად გვასწავლიდა, თუ როგორ უნდა გვემუშავნა და გვებრძოლა არსებული წესწყობილების წინააღმდეგ.

სტალინს ერთი წუთითაც ვერ ნახავდით დაღვრემილს. ის მუდამ ენტუზიასტი იყო, ამასთანავე შეუდარებელი ამხანაგი და სულ უბრალო ადამიანი. ყველას ეხმარებოდა არა მარტო ცოდნის გაზიარებით, არამედ ყოფაცხოვრებითი საკითხების მოგვარებაშიც.

მარსელიოზის პირველი დამწყები სტალინი იყო. ვინც იმ დროს სტალინთან ერთად ვიჯექით ციხეში. ვერ ვგრძნობდით, რომ ციხეში მომწყვდეულნი ვიყავით. რამდენიმე ამხანაგი შედარებით ახალგაზრდა ვიყავით. სტალინი ჩვენს მიმართ განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენდა. მისთვის არ არსებობდა „ჩემი“ და „შენი“, რასაც კი შემოუგზავნიდნენ ციხეში, ის უეჭველად საერთო იყო და ყველას უზიარებდა. როდესაც სტალინი ბათომში გადაგზავნეს რუსეთში გადასასახლებლად, ციხემ ეს აღნიშნა დიდი პროტესტით, კარებზე დარტყმით და მარსელიოზის სიმღერით მთელი ციხე მას ვაშას ძახილით და მარსელიოზის სიმღერით აცილებდა.

ამხანაგ სტალინს არასოდეს არ ავიწყდებოდა ამხანაგებზე ზრუნვა. ციხეში ფეხსაცმელი სრულიად გამიცვდა. ბათომის ციხეში, სადაც სტალინი უკვე ერთი კვირის გაგზავნილი იყო ეტაპით, ის ინახულა ირაკლი კოტრიკაძემ. სხვათაშორის. ამ ნახვის დროს მან დავალება მისცა კოტრიკაძეს ჩემთვის ციხეში ფეხსაცმელი გამოეგზავნა. მართლაც, ირაკლი კოტრიკაძემ ფეხსაცმელი ამომიტანა ქუთაისის ციხეში.

1904 წელს სტალინი გადასახლებიდან გამოიქცა. ამ წელს საქართველოში ფეხი მოკიდებული ჰქონდა მენშევიზმს. 1905 წლის ივლისში ამხ. სტალინი უკვე გურიაშია. ქუთაისის ციხის შემდეგ მას პირველად შევხვდი ფარცხმის გაშლილ კინდორზე დიდი წიფლის გარშემო გამართულ კრებაზე, სადაც ის ბოლშევიზმის თეორიას ანვითარებდა. მთელი კრება მას სულგანაბული უსმენდა. ს. ფარცხმაში სტალინი ჩამოვიდა 1905 წ. 29 ივლისს.

ს. ფარცხმაში ამხ. სტალინი ცხოვრობდა გლეხ სეფე ცინცაძის სახლში, ბათომიდან მას თან ახლდა ფარცხმელი იესე ცინცაძე, „ესე პეტრედ“ წოდებული. პეტრე ბოლშევიკი იყო. 1905 წელს იგი ყაზახებმა მოკლეს ნაძალადევში ცხრა მუშასთან ერთად

ამხ. სტალინთან ცინცაძის სახლში მოდიოდნენ გურიის მოწინავე გლეხები, რომლებსაც ამხ. სტალინი ესაუბრებოდა. სტალინის ჩამოსვლისთანავე მენშევიკების მთავარმა ძალებმა გურიაში მოიყარეს თავი.

სტალინმა გურიაში ყველას ყურადღება მიიქცია. როდესაც ის სიტყვას დაიწყებდა, არაჩვეულებრივი სიწყნარე და სიმშვიდე ჩამოვარდებოდა. მენშევიკები ობსტრუქციის მოხდენას ვერ ახერხებდნენ, იბნეოდნენ, ნერვიულობდნენ, სტალინი კი მშვიდად, თანმიმდევრობით აკრიტიკებდა მათ და ანვითარებდა ბოლშევიკურ შეხედულებებს.

— ნუ ცხარობთ, თუ არ იცით, გასწავლით! — ეუბნებოდა ის გრიგოლ ლორთქიფანიძეს, არსენიძეს და სხვებს.

— აბა, ნახე ძველ „ისკრაში“. იქ აგრე როდი სწერია.

და მართლაც, როდესაც მენშევიკებს გადაუშლიდა ძველ „ისკრის“ ნომრებს, იქ ისე არ აღმოჩნდებოდა, როგორც ამბობდნენ ოპონენტები. დავა ეხებოდა პრინციპულ საკითხებს: მეცნიერული სოციალიზმის შემუშავებასა და შეთვისებას.

ერთ დიდ კრებაზე სტალინმა გვერჩია შეგვეტანა წინადადება, რომ კამათი თეორიული საკითხებით დაწყებულიყო. ამ საკითხებში მენშევიკები ძლიერ იბნეოდნენ.

გურიაში ამხ. სტალინის პლატფორმაზე მცირერიცხოვანი, მაგრამ საქმიანი აქტივი დადგა. ბოლშევიკთა ჯგუფს სტალინი მიმართავდა:

— ნუ გაგიტყდებათ გული, ჯერ ცოტანი ხართ, მაგრამ მალე ბევრნი იქნებით!

პრესის მიმოხილვა

რატომ არ სრულდება მარგანეცის გამოღების გეგმა

„ჭიათურის მაღაროელი"—ჭიათურა

ჭიათურის პარტიულ და არაპარტიულ ბოლშევიკებს პარტიამ და ხელისუფლებამ ხეროიზული დავალება მისცა. მარტო მეოთხე კვარტალში სახელმწიფოს უნდა მისცენ 519.840 ტონა მარგანეცი. აქედან ყოველთვიური დავალება—173.100 ტონა, ყოველდღიური კი—6.745 ტონა.

— დღეში 6.745 ტონა და მეტი საუკეთესო ხარისხის მარგანეცი. — აი, ჭიათურელების ყოველდღიური საბრძოლო ამოცანა.

როგორ შეასრულეს ჭიათურის ბოლშევიკებმა მესამე კვარტალის თვიური დავალებანი?

მესამე კვარტალის გეგმის შესრულების გაძლიერება განსაკუთრებით აგვისტოში დაიწყო. ივლისში მარგანეცის გამოღების თვიური დავალება შესრულდა 88,4 პროც. სასაქონლო პროდუქციის დამზადება კი 96,7 პროც., ამნაირად, ივლისში გეგმას დანაკლისი ჰქონდა. სამაგიეროდ აგვისტოში მარგანეცის სასაქონლო პროდუქციის დამზადების გეგმა 100,8 პროცენტით შესრულდა, მარგანეცის გამოღებისა კი—97,4 პროცენტით.

ჩვენ ვფიქრობდით, ჭიათურის პარტიული, კომკავშირული, საბჭოთა, პროფესიული და სხვა ორგანიზაციები განამტკიცებდნენ აგვისტოში მოპოებულ წარმატებას და სექტემბერში მარგანეცის გამოღების გეგმას მთლიანად და გადაჭარბებით შეასრულებდნენ. სამწუხაროდ, ეს ასე როდია. ადგილობრივი ორგანიზაციები ერთგვარ თვითკმაყოფილებას აჰყვნენ, მხედველობიდან გაუშვეს, რომ მარგანეცის გამოღების გეგმის შესრულებისათვის საჭირო იყო ყოველდღიური, სისტემატური და ხელებდაკარწახებული მუშაობა.

ჭიათურლებმა სექტემბრის ორ დეკადაში ჩვენს ქვეყანას დააკლეს 5799 ტონა მარგანეცი.

რა არის ამ ჩამორჩენის მიზეზი.

ამის გარკვეულ და ამომწურავ პასუხს იძლევა გაზეთი „ჭიათურის მაღაროელი".

„ყოველივე ეს (სექტემბრის ორი დეკადის გეგმის შესრულებაში ჩამორჩენა რედ.) გამოწვეულია იმით, რომ ქარხანა—მაღაროთა ხელმძღვანელი მუშაკები არაკონკრეტულად ხელმძღვანელობენ ამ უდიდეს საქმეს" („ჭ. მ." № 112, 26 სექტემბერი).

„დღემდე პარტიული, პროფესიული და სამეურნეო ორგანიზაციების მიერ არ არის შესრულებული ამხ. ორჯონიკიძის ბრძანება № 840, სამხარეო კომიტეტის და რაიკომის ბიუროს 6 აგვისტოს დადგენილებანი" (ჭიათურის რაიკომის ბიუროს 18 სექტ. დადგენილებიდან).

„ჭიათურის მაღაროელი" სისტემატურად ბოლშევიკური თვითკრიტიკით და მიუდგომლობით ამხილებს და მზის სინათლეზე გამოჰყავს მარგანეცის გამოღების საქმეში ჩამორჩენის კონკრეტული დამნაშავენი.

გადავფურცლოთ „ჭიათურის მაღაროელის" სექტემბრის ნომრები. ვერც ერთ ნომერს ვერ ნახავთ, სადაც არ იყოს მოთავსებული ოპერატიული ცნობა, წერილი, ან შენიშვნა მარგანეცის გამოღების გეგმის შესრულების, ჩამორჩენის, წარჩინებული ადამიანების — იზოტოველების, მუშათა საყოფაცხოვრებო პირობების და სხ. შესახებ.

„ჭიათურის მაღაროელი" თანმიმდევრობით იბრძვის მარგანეცის გამოღების გეგმის შესრულების ფრონტზე.

ჭიათურის მაღაროებში ბევრია წარჩინებული — იზოტოველი. ისინი მარგანეცის ყოველდღიური გამოღების საქმეში ახალახალ რეკორდებს ამყარებენ, ყოველდღიურ დავალებებს გადაჭარბებით ასრულებენ. ბევრია მოწინავე ბრიგადა, რომლებმაც შრომის ორგანიზაციის მოწესრიგებით საგრძნობი წარმატებანი მოიპოვეს გეგმიან დავალებათა შესრულებაში.

გაზეთ „ჭ. მ." სისტემატიურად აცნობს მკითხველებს ამ მოწინავე ბრიგადებს. გაზეთს შემოღებული აქვს „რაიონული წითელი დაფა". ამ წითელი დაფის კანდიდატები არიან — ბრიგადები და მისი ხელმძღვანელები, რომლებიც მარგანეცის გამოღების საქმეში სარეკორდო ნიმუშებს იძლევიან. პირველ სექტემბრიდან 27 სექტემბრამდე გაზეთმა ოთხჯერ მოათავსა წითელი დაფა. ამ წითელ დაფაზე ნახავთ — ნიკოლოზ სამხარაძის, ვანო მოდებაძის და ამხ. კოხარევის სახელობის იპოლიტე აბესაძის ბრიგადებს, რომლებმაც აგვისტოს დავალება 128—130 პროცენტით შეასრულეს, ყოველდღიური დავალება კი—130 პროც.

მოწინავე ბრიგადებთან ერთად „ჭ. მ." მუშათა მასებს აცნობს წარჩინებულ ადამიანებს — იზოტოველებს.

აიღეთ მაგ. ნიკიტა შეყილაძე.

ვინ არის ნიკიტა შეყილაძე?

„6 წელია ამხ. ბერიას სახელობის მაღაროში მუშაობს... მან მიმდინარე თვის (სექტემბრის—რედ.). პირველ ნახევარში 6.250 ფუთი მარგანეცი გამოგზავნა მაღაროდან და დავალება 171,2 პროც შეასრულა... გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ მას ტოლი არ ჰყავს მთელს მაღაროში" („ჭ. მ." 24 სექტ.).

როგორია ნიკიტა შეყილაძე მაღაროს გარეთ, საზოგადოებრივ ცხოვრებაში?

„უაღრესად კეთილსინდისიერი, გამრჯე, საზოგადოებრივ საქმეში მონაწილე და კულტურულად მცხოვრები ადამიანი. მუშაობის შემდეგ სუფთად ჩაცმა და საერთო საცხოვრებელში მისი ოთახის მიგინურად დაცვა... ყოველდღიური ამოცანაა მისთვის" („ჭ. მ." 24 სექტ.).

დასასრულ გაზეთი დაასკვნის:

„თავის მუშაობით ნიკიტა უკვე ჩადგა ჩვენი ქვეყნის წარჩინებულ ადამიანთა რიგებში. მან უნდა შეინარჩუნოს და განამტკიცოს ეს საპატიო სახელი".

განა მარტო ნიკიტა შეყილაძეა ჭიათურის მაღაროების წარჩინებული, ნამდვილი იზოტოველი? არა. ასეთნი მრავალნი არიან. და მათ გვაცნობს „ჭ. მ.".

„ჭ. მ." განსაკუთრებულ ყურადღებით ეპყრობა შრომის ნაყოფიერების ზრდის საქმეს. გაზეთი მუშათა და ტრესტის სამმართველოს ყურადღებას ამახვილებს ცალკე მაღაროებში იმ პირობებზე, რომელნიც ხელს უწყობენ შრომის ნაყოფიერების დაცემას.

ვინ არის დამნაშავე, როდესაც მუშის დღიური გამომუშავება გეგმაზე ნაკლებია?

„ჭიათურის მაღაროელი" სწერს:

„უბნის გამგე ალ. გვანცელაძის მოუქნელი მუშაობით ბრეგვაძის სამუშაო ლავაში ცუდი აფეთქება, რის გამო მაღანი სულ წერაქვით მოსაპრელი ხდება. უბნის გამგის დაუდევრობით ბრეგვაძის ლავაში მოუგვარებელია განათების საქმე, რაც ძლიერ აფერხებს ნორმალურ მუშაობას. ამ ლავში უვარგისი ცხენი ჰყავთ, რის გამო მოპრილი მარგანეცი გამოუტანელი რჩება".

მაშასადამე, ამხ. მოდებაძის ჩამორჩენის მიზეზი ყოველდღიური დავალების შესრულებაში თვით მოდებაძე კი არ არის, არამედ უხეირო, კაზიონური ხელმძღვანელობაა. შეუქმენით პირობები ამხ. მოდებაძეს და ის მარგანეცის გამოღების ყოველდღიურ გეგმას გადაჭარბებით შეასრულებს.

ცალკე მაღაროებში არ არის შრომა მოწესრიგებული, რის გამო ხშირად ადგილი აქვს უმიზეზოდ გაცდენას და სამუშაოზე გვიან მოსვლას. მაგ. „ჭ. მ." 10 სექტემბრის ნომერში სწერს:

„დაახლოებით ათასი მეტრი გავიარეთ და № 19 ველის გადასახვევს მივადექით. აქ 28 მუშა წერაქვებით და ნიჩბებით დამჯდარა და რაღაცას ელოდებიან. გავიგეთ, რომ მუშების გაცდენის მიზეზი ლავის მოუმზადებლობა ყოფილიყო".

მაშასადამე, როგორც ეს ზემოთ ამონაწერებიდან ჩანს, შრომის ნაყოფიერების დაცემას და საერთოდ მარგანეცის საწარმოებში გეგმის შესრულების გარღვევის მიზეზი თვით ტრესტის ტექნიკური ხელმძღვანელობაა. შეუქმენით მუშას საჭირო პირობები: მოუმზადეთ ლავი, დროზე გაუშვით სამუშაოზე, სამუშაოს უბანზე მიაწოდეთ წყალი, მიეცით წვეტიანი წერაქვი, დროზე გამოიტანეთ მაღაროდან მარგანეცი — მუშებიც მარგანეცის გამოღების ყოველდღიურ დავალებას გადაჭარბებით შეასრულებენ. კვარტალის და წლის გეგმაც შესრულდება.

ჭიათურელ პარტიულ და არაპარტიულ ბოლშევიკებს აქვთ ყოველგვარი შესაძლებლობა, შექმნილია ყოველგვარი პირობა იმისათვის, რომ მარგანეცის გამოღების გეგმა გადაჭარბებითაც შესრულდეს. ამისათვის საჭიროა მონდომება, მუშათა გაზრდილი შრომის ენტუზიაზმის სათავეში ჩადგომა და მათი დარაზმვა.

სამწუხაროდ, ჭიათურის პროფკავშირები სათავეში ვერ ჩაუდგნენ ერთეული შეჯიბრებანი გადააქციონ მასობრივ შეჯიბრებად. აი გაზეთი „ჭ. მ." სამართლიანად აღნიშნავს, როდესაც სწერს: „მაგრამ ჯერ კიდევ ეს მოძრაობა ჭიათურის მარგანეცის მრეწველობაში ვერ იქცა მასობრივ მოძრაობად".

მარტო გაზეთი ვერაფერს გახდება, საჭიროა ჭიათურის სარაიონო ორგანიზაციები სათავეში ჩაუდგნენ ამ მოძრაობას, გააძლიერონ იზოტოველთა პროპაგანდა, იზოტოველების და სტახანოველების გამოცდილება ფართოდ დანერგონ ცალკე მაღაროებში, ქარხნებში, სამუშაოთა ყველა უბანში.

ერთი რამ უნდა ვუსაყვედუროთ „ჭ. მ." რედაქციას. გაზეთის ფურცლებზე დაწყებულ საქმეს ბოლომდე თვალს არ გაადევნებენ ხოლმე. არ კმარა მარტო დეფექტების გამომჟღავნება. ამასთან ერთად გაზეთი სისტემატურად უნდა იბრძოდეს რათა დროზე აღმოიფხვრას ის ნაკლოვანებანი, რომელიც ხელს უშლიან გეგმიან დავალებათა შესრულებას

„ჭ. მ." შემდეგშიაც არ უნდა დაივიწყოს ჭიათურის ბოლშევიკების საბრძოლო დავალება. დღეში 6.800 ტონა მარგანეცი და ამ დავალების შესრულების ფრონტზე წინანდებურად აქტიური როლი უნდა ითამაშოს.

შემცირებული ფასებით ვაჭრობა ინჟინერ-ტექნიკოსთა მომარაგების განყოფილების ხორცის სავაჭროში. სურათზე: ხორცის სავაჭროს ფრიად დოხანი დამკვრელი ამხ. ზარაფოვი ჰყიდის ხორცს.

□ □ □ □ □

იზრდება მუშის რეალური ხელფასი

მეხუთე დღეა, რაც ჩვენი სავაჭრო ორგანიზაციები, საკავშირო კ.პ. (ბ) ც. კ-ისა და სახკომსაბჭოს დადგენილების თანახმად, კვების პროდუქტებით უბარათებოდ და შემცირებულ ფასებში ვაჭრობენ,

საინტერესოა, რა გავლენა მოახდინა ამან მუშათა მომარაგებაზე, მათ ბიუჯეტზე?

ვკითხოთ თვითონ მუშებს. კითხვის დასმისთანავე აღტაცებულ პასუხებს მოისმენთ—პარტიის და მთავრობის დადგენილებამ ჩვენი საყოფაცხოვრებო პირობები უფრო გააუმჯობესა.

ჩემს სუფრაზე ახლა უფრო ხშირი იქნება ხორციდან დამზადებული კერძი—ამბობს ლ. ბერიას სახელობის ვაგონების შემკეთებელი ქარხნის სადურგლო საამქროს ზეინკალი ამხ. ზაქარიაშვილი.

— ბარათები?

— ნულარ მკითხავთ, ხან ერთ ტალონს დავკარგავდი, ხან მეორეს. ან როცა გჭირდებოდა, მაშინ ვერაფერს იშოვიდი ამ ტალონებით.

ახლა აღარ არის იმის შიში, რომ ტალონი დაგეკარგება და ამით დაგეკარგება ულუფაც. წადი, არჩეინად იყიდე რაც გინდა, თავისუფლად, რაც მოგეწონება, და არა ის, რასაც მოგაწვდიან.

პირდაპირ დიდი ძლიერების მაჩვენებელია ეს ახალი დადგენილება.

ეს უსათუოდ დიდი მიღწევაა ჩემს პირად ცხოვრებაში. აბა დასთვალეთ, ჩემისთანები რამდენია?!

საჭიროა კონტროლი

ცხადია, საბარათო სისტემას თავის დროზე გამართლება ჰქონდა,—ამბობს სტალინის სახელობის ორთქლმავალთა შემკეთებელი ქარხნის სახარატო საამქროს ძველი მუშა ამხ. გაგლოევი,—ქვეყანა სიძნელეებს განიცდიდა, პური და სხვა პროდუქტები ცოტა იყო, დაუნორმავად, უბარათებოდ არ შეიძლებოდა; ახლა ჩვენი სოციალისტური სამშობლო აღორძინდა, წელში გაიმართა, პურიც ბლომად გვაქვს და სხვა პროდუქტებიც, ცხადია, მოხმარების დანორმაც საჭირო აღარ არის, უბარათებოდ შეიძლება ვაჭრობა და აი კიდეც მოსპეს იგი პარტიამ და ხელისუფლებამ.

საუცხოოდ მოეწყო უბარათებოდ ვაჭრობა.

მხოლოდ რას ვამჩნევ, იცით, პროდუქტები ყველგან ერთი ხარისხისა არ არის. მაგალითად პურს თუ ავიღებთ, იგი რკინიგზის ფურნეებში გაცილებით უკეთესი ხარისხისა და გემოსია, ვიდრე პურტრესტის სავაჭროებში. რათ უნდა იყოს ასე, ნუთუ არ შეიძლება ყველგან გემრიელი და კარგი ხარისხის პური იყიდებოდეს? ეს ორგანიზაციული ნაკლია, რომელიც უნდა გამოსწორდეს.

შემდეგ ხორცის საკითხს მინდა შევეხო: ხორცზე ფასები ხარისხის მიხედვით არის დაწესებული, იწყება 9 მან. და 40 კაპეიკით და თანდათან მცირდება. კარგი! მაგრამ ხორცის სავაჭროებში მომხმარებლისათვის გაურკვეველია, რომელია 9 მანეთიანი, რომელი შვიდიანი და ა. შ. ყველა ხარისხი ერთმანეთშია არეული და გამყიდველი, საიდანაც მოეპრიანება, იქიდან გიჭრის. შეიძლება ამ შემთხვევაში ზოგიერთმა იჟულიკოს და უმჯობესი იქნება, რომ ცოტა კონტროლსაც გავაძლიერებდეთ; ყველა ხარისხის საქონელს თავისი გარკვეული ადგილი უნდა ჰქონდეს სავაჭროში, რათა მყიდველმა ნათლად დაინახოს, რომელია უმაღლესი ხარისხის საქონელი და რომელი საშუალოსი.

არ შემიძლია ეს ყველა სავაჭროს ვუსაყვედურო, ამის მაგალითებს ჩვენს ლენინის რაიონში ვამჩნევთ.

რომ ვიანგარიშე, მარტო ხორცზე უკვე 12 მანეთის ეკონომია მომდის თვეში, შაქარზე უთუოდ უფრო მეტი მომივა, ასე ვვარაუდობ; მთელი ეს ეკონომია კვების გაუმჯობესებას უნდა მოვახმარო. უკეთესად ვიკვებები, პროდუქციასაც უკეთეს მივცემ წარმოებას.

*

განსაკუთრებით დიდი სიხარული და კმაყოფილება გამოუწვევია ფასების შემცირებას და ბარათების გაუქმებას რკინიგზელების იმ კატეგორიაში, რომლებიც თავისი მუშაობით მატარებლების მოძრაობასთან არიან დაკავშირებულნი: მემანქანეები, მათი თანაშემწეები, კონდუქტორები, მზეთავები.

წარმოიდგინეთ, მემანქანეს მატარებელი მიჰყავს და საპროდუქტო ბარათიც თან მიჰყვება, ოჯახი უბარათოდ დარჩა, კაცი ღელავს, ოჯახზე იფიქროს თუ საქმეზე, განსაკუთრებით მწვავედ გრძნობდნენ ამას, როდესაც პურიც ბარათებით იცემოდა.

ახლა ამ კატეგორიის მუშებსაც შეუძლიათ მთელი გულისყურით მხოლოდ საქმეს მოეკიდონ, დაიმედებულთ, რომ ოჯახს არაფერი გაუჭირდება, ყოველგვარ პროდუქტს თავისუფლად იშოვნიან ბაზარზე იაფ ფასებში და უბარათებოდ.

ყიდულობენ იაფად და მეტს

სავაჭრო ქსელის მომარაგება ხორცის და ძეხვის ნაწარმით სავსებით უზრუნველყოფილია. პირველ ოქტომბერს ხორცის მაღაზიების ბრუნვა ტფილისში 58 ათას მანეთს შეადგენდა, 2 ოქტომბერს ის 63 ათას მანეთამდე ავიდა. პირველ ოქტომბრამდე ხორცის სავაჭროების საშუალო დღიური ბრუნვა 43 ათას მანეთს არ აღემატებოდა.

ტ.ა.ო.კ-ის თანამშრომელი ამხ. ლომინაძე „სოიუზმიასოხბიტის" მაღაზიაში ნავაჭრით.

□

საქკვებვაჭრობის სავაჭრო ქსელში (ტფილისი) საქონლის რეალიზაცია პირველ ოქტომბერს 128.500 მანეთს შეადგენდა, 2 ოქტომბერს 116 ათას მანეთს, ოქტომბრამდე კი პროდუქტების საშუალო დღიური რეალიზაცია 87 ათას მანეთს არ აღემატებოდა.

ტ.ს.ო.კ-ის სასურსათო მაღაზიებში საქონელბრუნვა ოქტომბრის პირველ დღეებში სექტემბერთან შედარებით თითქმის 100 პროცენტით გაიზარდა. მაგალითად ტ.ს.ო.კ-ის მე-145 მაღაზიის ბრუნვა პირველ ოქტომბრამდე შეადგენდა 6 ათას მანეთს, პირველ ოქტომბერს 14 ათას მანეთს; მე-155 მაღაზიის ბრუნვა პირველ ოქტომბრამდე შეადგენდა 4 ათას მანეთს, პირველ ოქტომბერს 7 ათას მანეთს და სხვ.

სასურსათო საქონლის ბრუნვის ასეთი დიდი ზრდა უშუალოდ დაკავშირებულია ფასების შემცირებასთან. რამაც დიდი გავლენა მოახდინა საკოლმეურნეო ბაზარზედაც: მაგალითად, უბარათებოდ ვაჭრობის პირველ დღეს შემცირებული ფასებით ძროხის ხორცი იყიდებოდა კილო 8 მანეთად, ხოლო მეორე დღეს ის 6 მანეთამდე დავიდა, კილო კარაქი სექტემბერში 28 მანეთად იყიდებოდა, ხოლო უბარათებოდ ვაჭრობის პირველ დღეს 20 მანეთად.

რაიონებში

არტელის წესდება დაამახინჯეს

გურჯაანი. ამას წინათ სოფ. კარდენახის ამხ. ბერიას სახ. კოლმეურნეობაში არტელის ახალი წესდების საბოლოოდ მიღებასთან დაკავშირებით მოიწვიეს საერთო კრება, რომელსაც 70 წევრიდან მხოლოდ 26 დაესწრო.

ამ უკანონო კრებაზე სას.-სამ. არტელის ახალ წესდებაში ზოგიერთი ცვლილების შეტანის შესახებ „ვრცელი მოხსენებით" გამოვიდა კარდენახის სას. საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ვ. ბასილაშვილი.

მცირერიცხოვანმა კრებამ ბოლოს ახალ წესდებაში „ცვლილებები" შეიტანა და დადგენილებაც მიიღო.

სას. საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. ბასილაშვილმა და კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ამხ. ფხაჭიაშვილმა ანგარიში არ გაუწიეს იმ 44 წევრს (უმრავლესობას), რომლებიც საერთო კრებას არ დაესწრნენ.

ეს ხომ საკოლმეურნეო დემოკრატიის აშკარა დარღვევაა?

ნიკო ზავრაშვილი.

○○

მოდის შეძლებული ცხოვრება

ბორჯომი. პატარა იყო ქვაბისხევის კოლმეურნეობა, მაგრამ შრომა არ ეზარებოდათ, კარგი საქმის აზრი შეიგნეს და აქ ყოველდღე გამარჯვება გამარჯვებას მოსდევს.

წელსაც კოლმეურნეობამ საგაზაფხულო სამუშაოები ვადაზე ადრე დაამთავრა და მეზობელ, საკირის კოლმეურნეობასაც დაეხმარა ხვნათესვაში. კოლმეურნეობამ შარშანდელთან შედარებით ხორბალი გაცილებით მეტი მოიწია. წლის განსაზოგადოებული საქონლისათვის ააგეს ბოსელი, შენდება კანცელარიისა და საწყობის შენობა, ერთი სიტყვით, კოლმეურნეობა თანდათან იზრდება, მტკიცდება. კოლმეურნეები ხდებიან შეძლებული, ყიდულობენ სახლებს, ავეჯს. ყველამ შეიძინა ძროხები.

გრ. ლომიძე.

საქმე წინ მიდის

ცხაკაია. [illegible] სასოფლო საბჭოში ახლა უკვე რამდენიმე არტელი ჩამოყალიბდა: ლ. ბერიას სახელობისა—96 წევრით, ტელმანის სახელობისა—100 წევრით, კიროვის სახელობისა—89 წევრით.

დამახასიათებელია, რომ თითქმის ყველგან, სადაც კი კრება ტარდება, კოლმეურნეები აღნიშნავენ—ჩვენი ცხოვრება წინ მიდის, გვეღირსა ისეთი დრო, როგორიც არც ერთ სხვა ქვეყანაში არავის არ ღირსებია, მისი მოპოვებისათვის უნდა ვუმადლოდეთ და ვაფასებდეთ ჩვენს ბოლშევიკურ პარტიას, ლენინურ პარტიას ამხ. სტალინის მეთაურობით.

ახლად დაარსებულმა კოლმეურნეობებმა მიიღეს სტალინური წესდება და შეადგინეს სამუშაო გეგმა.

კონ. ყურაშვილი.

○○

ციტრუსების ოსტატებმა გაიმარჯვეს

ლანჩხუთი. 168.000 ძირი ციტრუსის გახარება, — ასეთი იყო წელს საზაფხულო მყნობის რაიონული გეგმა. დიდი იყო დავალება, მაგრამ საუკეთესოდ მომზადებისა და დაუზარელი შრომის შედეგად გეგმას ბევრად გადააჭარბეს,—დამყნილია 321.166 ძირი.

ამ საქმეში განსაკუთრებით დიდი როლი შეასრულა 103 მყნობელმა, რომელნიც წელს დროულად მოამზადეს. დამთავრებულია ნამყენთა შემოწმება და დამატებითი მყნობაც.

საზაფხულო მყნობის გეგმა გადაჭარბებით შეასრულეს ხორეთის, აცანის, ჭინათის, გულანის, ჭანჭათის და ხიდმაღალას კოლმეურნეობებმა. აქ ბევრია ისეთი კოლმეურნე, რომელსაც დღეში 800 ძირამდე დაუმყნია და ნამყენის 95—98 პროცენტი გაუხარებია. ასეთებია: ლ. ხვიჩია (ხორეთი), ლ. კუკულავა (ხიდმაღალა) და შუბითიძე (შუხუთი).

ა. ხუციშვილი.

□ □ □

ჩვენ გვწერენ

„გაჭირვებულს შველა უნდა"

(მასწავლებელთა წერილი)

ტიბაანის (სიღნაღის რაიონი) სასოფლო საბჭოს ფინმუშაკი სოლიკო ჯავაშვილი საერთოდ კარგი რეპუტაციით ვერ სარგებლობს. ყოყოჩობს, ბიუროკრატობს, კოლმეურნეებს უხეშად ეპყრობა. ყველა ამ „სიკეთეს" ბოლოს ერთიც დაემატა: ჯავაშვილმა ხელი მიჰყო ობლიგაციების ფულის განიავებას. რამდენიმე ტიბაანელ მასწავლებელს არ მიუღია მეორე ხუთწლედის პირველი და მეორე წლების გამოშვების სესხის ობლიგაციები (ელიკო ჭილაძეს — 600 მანეთის, აკაკი თოფურიას — 500 მანეთის, იასონ ლებანიძეს — 400 მან. და სხვ.)

ჯავაშვილს რევიზია გაუკეთეს ობლიგაციების ფულთან ერთად მას 6 ათასი მან. დანაკლისი აღმოაჩნდა. ჯავაშვილი არ დაეთანხმა სარევიზიო კომისიის დასკვნას. გამოიწვიეს რაიფინგანის ბუხჰალტერი გიგო ბარნაბაშვილი. მანაც 6 ათასი მანეთის დანაკლისი აღნიშნა და აქტი რაიფინგანს გადასცა ზომების მისაღებად. მაშინ კი დატრიალდა სოლიკო ჯავაშვილი, რიგიანად აქეიფა ფინგანის ბუჰჰალტერი. ამას შემდეგ ბარნაბაშვილი ჩაფიქრდა და დაასკვნა, გაჭირვებულს შველა უნდაო. მალე აქტში შესწორება შეიტანა, ჩასწერა: დანაკლისი დაფარულიაო.

ასე იხსნა თავი განსაცდელისაგან ფინმუშაკმა ჯავაშვილმა, მასწავლებლები კი კვლავ უობლიგაციოდ დარჩნენ.

გირგი გორაშვილი
სიმონ ბიძინაშვილი.

„ხუთ თუმანზე ნაკლებ ცხენიდან არ ჩამოვხტები"

(ჭიათურის რაიონი, ს. ღვითორი)

ცელქი, დაუდეგარი, მუდამ მხიარული პატარა ოთარი, ახლა ავადმყოფობით მოდუნებული, დაკოპლებული—დერეფანში ჯდა და ექიმს ელოდებოდა. უცბად ცხენის ფრუტუნი მოისმა, სახე გაუბრწყინდა და დედას სიხარულით აუწყა ექიმის მოახლოება.

— მალე, დედიკო, ექიმი მოდის,—გადასძახა მან დედას და ჯოხით ხელში გაეშურა ჭიშკრისაკენ, სადაც ამ დროს უკვე ჩამოდგა ქვაციხის სამედიცინო პუნქტის გამგე ექიმი გრიგოლ ბრეგვაძე. ოთარის დედის (ქ. კუპატაძის) თავაზიანი მისალმება ექიმმა უყურადღებოთ დასტოვა, მისი თხოვნა, რომ ავადმყოფი ბავშვი გაესინჯა, ბანზე შეაგდო და ურცხვად მიახალა მოულოდნელი პასუხი:

— გავსინჯავ, ქალო, მაგრამ... რას იძლევი გასასინჯს?

— ოცდახუთ მანეთს მოგართმევთ, ბატონო!—მორცხვად უპასუხა დედამ.

— ოცდახუთი მანეთი ცოტაა, ოცდახუთად ცხენიდანაც კი არ ჩამოვხტები!

— მეტი არა მაქვს, შენი ჭირიმე!—ემუდარებოდა დედა და თანაც იმედიანი თვალით შეჰყურებდა, იქნებ დათანხმდესო.

— ხუთ თუმან ნაკლებ არ ჩამოვხტები ცხენიდან!—მედიდურად სთქვა ექიმმა, ცხენს დეზი ჰკრა და გააბრუნა იქით, საიდანაც იმ რამდენიმე წუთის წინ, დიდი თანხის ჯიბეში ჩაჩხრიალების მოზნით, აჩქარებული მოაჩქაჩქებდა თავის „ლურჯას".

იმედგაცრუებულმა ოთარმა ნაღვლიანად გააყოლა თვალი მიმავალ ექიმს, რომლისაგანაც ხსნას ელოდა და აცრემლებული უბნებოდა დედას:—„გლახა ძია, გლახა ექიმი". დედა სხვა ექიმის მოყვანის დაპირებით ამშვიდებდა უდროოდ დავრდომილ ბავშვს და თანაც უიმედობით მოცული ზიზღით იხსენიებდა უსირცხვილოდ მიმავალ ექიმს.

ნუ თუ საბჭოთა ექიმს ეპატიება ასეთი უმსგავსობა?

ს. კაცხელი

○○

პატარა გერონტიმაც უნდა ისწავლოს

იგი 12 წლისაა. მკვირცხლი გამომეტყველი სახისაა. მთელ დღეს საქონელს მწყემსავს ნაქერალაზე. ხშირად შემიხედავს მისთვის, მაგრამ ასეთი არასოდეს მინახავს.

15 სექტემბერს მომხიბლავი დილაა. სკოლების ზარის ხმა ისმის. შოსესა და ბილიკებზე მოჩანან სკოლაში მიმავალი ბავშვები.

ამ დროს ნაქერალას მთაზე თვალცრემლიანი პატარა ბიჭი ძროხას მიერეკება. მე, ცნობისმოყვარეობა მიპყრობს და ვეკითხები:

— ვინ ხარ, ბიჭო, შენ?

— გერონტი სირბილაძე! სწრაფად მიპასუხებს იგი.

— რატომ სტირი?

— ჩემი ამხანაგები ყველანი სკოლაში წავიდნენ, მე კი „ხაზეინი" არ მიშვებს.

— როგორ თუ ხაზეინი? ვეკითხები მას.

ის დაღონებული მიპასუხებს: დედ-მამა არა მყავს, ხარიტონ ბოჭორიშვილთან ვარ მოჯამაგირედ.

6 თვის იყო გერონტი, მამით რომ დაობლდა. მისი დედა ჩ. ბრეგაძე ქუთაისს გათხოვდა და ერთი წლის გერონტი მოხუც ბებიის ამარად დასტოვა. მეურვედ გერონტის გერმანე სირბილაძე დაუნიშნეს. პატარა 6—7 წლის გერონტი სოფ. ახონაულში მაწანწალად დადიოდა, მისთვის არავინ იზრუნა, თვითონ კი ცხოვრების გზა ვერ გაიკვლია.

შარშან გერონტი მეურვე სირბილაძემ ტყიბულში შეძლებულ გლეხს ხარიტონ ბოჭორიშვილს მოჯამაგირედ დაუყენა 150 მან. წლიური ხელფასით.

ბოჭორიშვილს აღრიცხვაზე არ აუყვანიებია გერონტი სირბილაძეს, ის მას არალეგალურად იმსახურებს. ბავშვი ცუდ საყოფაცხოვრებო პირობებში ჩააყენა და არც სკოლაში მიუბარებია.

სავალდებულო საყოველთაო სწავლის კანონი პატარა გერონტიზედაც უნდა გავრცელდეს. ბავშვის დამქირავებელმა ხარიტონ ბოჭორიშვილმა ის სკოლაში უნდა შეიყვანოს და რიგიანი საყოფაცხოვრებო პირობებიც შეუქმნას.

შ. ქაჯულია.

უთანხმოების საკითხი გურიაში უფრო და უფრო მწვავდებოდა. ბოლშევიკების წინააღმდეგ მენშევიკები არ ერიდებოდნენ არავითარ საშუალებას. მენშევიკური აგიტატორები შეიარაღებული იყვნენ „სოციალ - დემოკრატში" დაბეჭდილი ნოე ჟორდანიას წერილების სერიით: „უმრავლესობა თუ უმცირესობა", ბოლშევიკები კი—სტალინის ბროშურით: „გაკვრით პარტიულ უთანხმოებაზე" და „პროლეტარიატის ბრძოლის" ნომრებით, რომლებშიაც უმთავრესად ამხ. სტალინის წერილები იბეჭდებოდა.

გურიაში ამხანაგ სტალინის ჩამოსვლამ და მისმა რამდენიმე გამოსვლამ აქტივის კრებებზე საფუძველი ჩაუყარა გურიის ბოლშევიკების ორგანიზაციულად ჩამოყალიბებას. დისპუტი ახლა უკვე გადავიდა ფართო მასებში, როგორც პარტიულებში, ისე უპარტიოებში.

მაგრამ ახლა მენშევიკები ჩვენს წინააღმდეგ ორგანიზაციულ ზომებს მიმართავდნენ. ბოლშევიკებს აღარ აძლევდნენ პარტიული მუშაობის ნებას. სტალინის წასვლის შემდეგ სოფელ იანეულში ჩვენი თაოსნობით შეიკრიბა აქტივის კრება, სადაც ირჩეოდა უთანხმოების საკითხები. კრებას თავს დაესხნენ მენშევიკები წითელი რაზმის წარმომადგენლებით და აკრძალეს. მოწინავე გლეხების დაჟინებითი მოთხოვნით მეორე დღეს მაინც გაიმართა დიდი კრება. კამათი ისე გამწვავდა, რომ საქმე კინაღამ ხელჩართულ ბრძოლამდე მივიდა. ამ კრებაზე მენშევიკები იდეურად დამარცხდნენ, მაგრამ მათ მოაწყეს ობსტრუქცია. ამ კრებას დაესწრო პროფესორი ნიკო მარი. მან დიდხანს უსმინა ორატორებს და ბოლოს სიტყვა ითხოვა. მარს, როგორც მეცნიერს, გურიაში აფასებდნენ. მენშევიკებს უნდოდათ მარის ავტორიტეტის გამოყენება და ამბობდნენ: — აი, ნახავთ თუ ვის გაამართლებს მარიო, მაგრამ ნიკო მარმა მენშევიკების სასარგებლოდ არა სთქვა რა. მენშევიკების მისამართით მან სთქვა:

— თქვენ ცოდნა არა გაქვთ, მეცნიერულ საკითხებს აბუჩად იგდებთ და მას არ აფასებთ.

მაშინ მენშევიკებმა ასეთ დემაგოგიას მიმართეს: „ხომ ვამბობდით, რომ ბოლშევიკები ინტელიგენტებია, ბურჟუები და მარიც, როგორც ინტელიგენტი და პროფესორი, მათ მიემხრო".

ნიკო მარი სწორედ ამ კრებისა და კამათის შესახებ პეტერბურგში გამოცემულ მეცნიერულ ჟურნალში სწერდა:

„სოფლის განვითარებულ მუშებს შორის უაღრესად სიმპატიური ტიპებია, რომელთაც სწყურიათ ცოდნა და მეცნიერებას მაღლა აყენებენ, მისი გამოყენებისა და უტილიტარული მნიშვნელობის მიუხედავად. ჩემს გაკვირვებულ შეკითხვაზე, რომ ასეთი შეხედულება მეცნიერებაზე იშვიათია ინტელიგენციაში, რომ მეცნიერებას განათლებულ საზოგადოებაში აფასებენ მატერიალური სარგებლიანობის თვალსაზრისით, — ერთმა მუშამ მიპასუხა: სხვანაირ დამოკიდებულებას მეცნიერებისადმი თანამედროვე ინტელიგენტებისაგან არც უნდა მოველოდეთ, ვინაიდან ისინი წარმოსდგებიან ბურჟუაზიული წრიდან, ბურჟუაზიული მსოფლმხედველობის მატარებლები არიანო. ამიტომ ბუნებრივია, რომ ისინი მეცნიერებასაც ბურჟუაზიული უტილიტარული თვალსაზრისით უყურებენ. ამავე დროს უნდა აღინიშნოს, ზოგიერთი მოღვაწე გრძნობს, თუ არა აღნიშნულ არსებითს ნაკლს, ყოველ შემთხვევაში განათლების სიმცირეს ხალხში, რაც ხშირად უკიდურეს უვიცობამდე აღწევს.

„და ეს ზოგიერთები (რამაც გამაკვირვა) არიან არა ინტელიგენტები" არამედ მუშათა წრიდან გამოსულნი; განვითარებული მუშები განსაკუთრებული სიმწვავით დასტირიან ამ ნაკლს, ვინაიდან ახლო სდგანან ხალხთან და უკეთესად გრძნობენ ამ ნაკლის შესაძლებელ შედეგებს. ჩვენი უბედურება იმაშია, — მითხრა ერთმა განვითარებულმა მუშამ, — რომ თავისუფლება მივიღეთ მოულოდნელად, ის მოვიდა უფრო ადრე... გატაცებით მეცადინეობენ ეს მუშები თვითგანვითარებაზე, რა მიზნითაც შედგენილი აქვთ წრეები და ამხანაგობები. ისინი მეცადინეობენ ახლანდელ საბრძოლო მომენტშიაც. გურულები ცდილობენ თავისი გონებრივი ჰორიზონტი გააფართოვონ პრინციპული დებატების მოსმენით სხვადასხვა კრებებზე, რომლებიც სახალხო უნივერსიტეტების თავისებურ ჩანასახს წარმოადგენენ".

დისპუტი იმართებოდა თითქმის ყველა პარტწრეში. სტალინის მიერ დატოვებული ბოლშევიკური კადრები აწყობენ ბოლშევიკურ თათბირს ხიდისთავში, სადაც გადაწყდა ცალკე ბოლშევიკური წრეების დაარსება. მენშევიკები ყოველდღე აძლიერებდნენ რეპრესიებს ბოლშევიკების წინააღმდეგ. საქმე იქამდე მივიდა, რომ ერთ დიდ მიტინგზე, რომელიც შემდეგ დემონსტრაციად გადაიქცა და რომელსაც 7 ათასზე მეტი კაცი დაესწრო სპეციალურად ჩამოყვანილ ბოლშევიკ - ორატორს ლაპარაკი აუკრძალეს. მენშევიკების პასუხი ასეთი იყო: „რა საჭიროა ბუდუ მდივნის მიტინგზე გამოსვლა, ჩვენ ორატორები საკმაოდ გვყავსო". ამრიგად, მენშევიკები დაადგნენ ბოლშევიკების განდევნის ხაზს. რადგან ბოლშევიკებთან იდეური ბრძოლა ძნელი და რთული საქმე იყო, მათ არჩიეს უფრო იოლი საშუალება — რეპრესიული ზომები ბოლშევიკების მიმართ.

1905 წლის ზაფხულში სტალინი გურიაში გამოვიდა რამდენიმე დიდ კრებაზე (ხიდისთავი, ფარცხმა, ჩოხატაური და სხ.), დარაზმა ბოლშევიკური კადრები, მისცა მათ მუშაობის გეზი და გაემგზავრა სხვა ადგილებში მენშევიკებთან საბრძოლველად.

ამხ. სტალინის ხელმძღვანელობით ბოლშევიკების ბრძოლა მენშევიკების წინააღმდეგ წარმოადგენს რევოლუციური მოძრაობის და პარტიული მუშაობის ისტორიის შესანიშნავ ფურცლებს. უნდა აღინიშნოს, რომ ბოლშევიკობა როგორც მთელ ამიერ-კავკასიაში, ისე კერძოდ გურიაში ვისწავლეთ ამხანაგ სტალინისაგან, რომელიც თავიდანვე წარმოადგენდა ბოლშევიზმის გამოჩენილ თეორეტიკოსს და უდიდეს ორგანიზატორს.

◆

როგორ გამოეხმაურენ ლანჩხუთში ჩვენს სიგნალს

ეს ამბავი დაიწყო პატარა კორესპონდენციით, რომელიც „კომუნისტის" რედაქციაში შემოვიდა 4 აგვისტოს. ავტორი იტყობინებოდა, რომ ლანჩხუთის რაიონში თავი იჩინა ღორის დაავადებამ, სოფ. მამათში 150 სული დაიხოცა, ხოლო რაიმიწგანი ზომებს არ იღებსო.

ეს წერილი რედაქციამ შესამოწმებლად და ზომების მისაღებათ 5 აგვისტოს გადაუგზავნა ლანჩხუთის პარტრაიკომის მდივანს ამხ. კ. ბარამიძეს.

8 აგვისტოს ფოსტალიონმა პარტკომის შენობას მიადგა და დაზღვეული ბარათი გადასცა საქმეთამმართველს ქსენია ჩხაიძეს. ეს სწორედ ის კორესპონდენცია იყო, რომელიც „კომუნისტიდან" გადაიგზავნა. ეს წერილი ხუთი დღე ხელუხლებლად იდო საქმეთამმართველის მაგიდაზე, ერთხელ დამლაგებელმა ქალმა კინაღამ სანაგვე ყუთში გადაუძახა, მაგრამ რაკი კონვერტზე დიდი ბეჭედი იყო.. თავი შეიკავა.

19 აგვისტოს რედაქციამ მიმართა ლანჩხუთის რაიკომს: „განმეორებით გთხოვთ ლააჩქაროთ პასუხი ჩვენს მიერ გადმოგზავნილ კორესპონდენციაზეო".

ეს მიმართვაც დარჩა „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა".

ბოლოს რედაქციამ თავისი წარმომადგენელი გაგზავნა ლანჩხუთში იმის შესამოწმებლად, თუ რა ბედი ეწია კორესპონდენციას.

გამოირკვა შემდეგი: 15 აგვისტოს კორესპონდენცია „აღმაშფოთებელი ფაქტებით" ამხ. ბარამიძემ ზომების მისაღებათ გადასცა რაიმიწგანის გამგეს ამხ. დიმიტრი წილოსანს, რომელმაც ეს წერილი და თავისი „ახსნა განმარტება" მეორე დღესვე წარუდგინა რაიკომს.

მკითხველი ალბათ მოელის, რომ წილოსანი საჭირო ზომებს მიიღებდა კორესპონდენციაში აღნიშნულ მდგომარეობის გამოსასწორებლად. მით უმეტეს, რომ საკითხი მეღორეობას შეეხებოდა.

მაგრამ არა. წილოსანი გაბრაზდა კიდეც — როგორ გაბედეს და მიწგანის მუშაობას აკრიტიკებენო. მან კალამი ააწრიპინა, დაჯდა და მეორე დღესვე ამ საკითხზე ვრცელი მოხსენებითი ბარათი წარუდგინა ლანჩხუთის რაიკომის მდივანს ამხ. კ. ბარამიძეს: „კომუნისტის" რედაქციაში გაგზავნილი კორესპონდენცია სინამდვილეს არ შეეფერება (!)... შემდეგ იგი არწმუნებს რაიკომს ჩავატარე ღორების მასობრივი აცრა (!)... გამოვაცხადე კარანტინი (!) და მთელი რიგი ზომები მივიღეო... „ახლა მდგომარეობა ღორის დაავადების მხრივ ცოტა გაუმჯობესდა, მაგრამ ლიკვიდირებული არ არის. ეპიდემია მძვინვარებს ქალაქში, ლაშისღელეში, მაჩხვარეთში, ნიგოითში, სუფსაში, ჩიბათში, გვიბალაურში" აი წილოსანის მოხსენებითი ბარათის შინაარსი.

როგორც ჩანს წილოსანმა „პირდაპირ დააყენა" საკითხი, ზომებიც მიიღო (!), მაგრამ არაფერი გამოუვიდა.

საქმის ინტერესი უკარნახებდა რაიმიწგანის გამგეს წილოსანს ადგილობრივ შეემოწმებია და მიეღო გადამჭრელი ზომები ნაკლის აღმოსაფხვრელად. მან ეს არ ინება. ამიტომ არის, რომ ღორების დაავადება „ცოტას" კლებულობს და „ლიკვიდირებული არ არის".

ღორების დაავადების მიზეზები ადგილობრივ შეისწავლა საქმიწსახკომის სავეტერინარო სამმართველოს ვეტინსპექტორმა ამხ. ლ. კიკნაძემ.

წილოსანის მიერ რაიკომის მისამართით „პირდაპირ დასმული" საკითხები ყირამალა შეტრიალდა. კორესპონდენციაში მოყვანილი ფაქტები მთლიანად დადასტურდა. დამატებით გამოირკვა, თურმე ღორების დაავადება იმას გამოუწვევია, რომ მიწგანის გამგე წილოსანს გაუცია არა სწორი განკარგულება — „ღორებს მასიურათ აუცერითო", ნაცვლად იმისა, რომ კოლმეურნეობებს დახმარებოდა დამშეული ღორების საკვების გამოძებნაში, მან პირდაპირ წინადადება მისცა ვეტექიმს — გინდა თუ არა აუცერი ღორებსო. მიუხედავად ვეტექიმის წინააღმდეგობისა, მან თავისი გაიტანა. ღორებს აუცრეს. ამ შემთხვევაში **საჭირო იყო ღორების გაძლიერებულ კვებაზე გადაყვანა. მიწგანს ამისათვის თავი არ შეუწუხებია. საჭირო იყო აცრილი ღორების კარანტინში მოთავსება. არც ეს წესი დაუცავთ.** ყოველივე ამან გამოიწვია ავადმყოფობის გავრცელება და ზოგიერთ კოლმეურნეობაში ღორების გაწყვეტა.

მდგომარეობა ამჟამადაც არ არის გამოსწორებული. რაიონში ღორების დაავადება გრძელდება. მთელი რიგი კოლმეურნეობები (აგარაკი, ხიდმაღალა, ჩიბათი) არ არიან საკმაოდ უზრუნველყოფილი ღორების საკვებით. დაავადებულ ღორებს რაციონის მიხედვით არ ჰკვებავენ და საღორეების მშენებლობის სამუშაოებიც ჭიანურდება.

რაიმიწგანი კი ლაყბობით ირთობს თავს და პარტრაიკომს აძლევს პატაკს, ეს და ეს ზომები მივიღეო. ეს ხომ თვალისახვევაა.

კორესპონდენცია „აღმაშფოთებელი ფაქტების" ისტორია მოწმობს არა მარტო იმას, რომ რაიონული ორგანიზაციები უსულგულოდ და ბიუროკრატიულად ეკიდებიან რედაქციიდან გამოსარკვევად გადაგზავნილ წერილებს, არამედ იმასაც, რომ ლანჩხუთის რაიონში სუსტად იბრძვიან მეცხოველეობაში ზოოვეტერინარულ ღონისძიებათა განხორციელებისათვის და ამით **საფრთხის წინაშე აყენებენ მეცხოველეობის სახელმწიფო გეგმების მთლიანად და ვადაზე შესრულებას.**

კომუნისტი

შაბათი 5 ოქტომბერი 1935 წ. № 232 4388

შეხვედრა უკრაინელ მწერლებთან

მწერალთა კავშირის სხდომების დარბაზი ვერ იტევს დამსწრე საზოგადოებას. აქ არიან: უკრაინის მწერალთა კავშირის თავმჯდომარე ამხ. სენჩენკო, ცნობილი უკრაინელი პოეტი მიკოლა ბაჟანი და დრამატურგი კორნეიჩუკი, რუსთაველის და კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრების რეჟისორები და მსახიობები,

უკრაინის მწერალთა კავშირის თავმჯდომარე ამხ. სენჩენკო.

ქართველ მწერალთა და დრამატურგთა აქტივი.

საღამოს მოკლე შესავალი სიტყვით ხსნის ამხ. დ. დემეტრაძე, რის შემდეგ სიტყვა ეძლევა ამხ. სენჩენკოს:

— უკრაინელ და ქართველ ხალხს ბევრი რამ აკავშირებს ერთმანეთთან. ჩვენი ქვეყნის მშრომელთა საერთო ფურცლები ჩაუწერიათ რუსეთის იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ისტორიაში.

ქართველმა მწერალმა დავით გურამიშვილმა, სამშობლოდან დევნილმა, თავი შეაფარა უკრაინას. ეს არ იყო შემთხვევითი მოვლენა. ჩვენ ამჟამად ამ დიდებულ მგოსანს საბჭოთა უკრაინაში უდგამთ ძეგლს. დაე, ეს იყოს გამოხატულება საბჭოთა კავშირის ხალხთა ძმური თანამშრომლობისა!

— უკრაინა დაინტერესებულია საქართველოს კულტურის მიღწევებით. ჩვენ არაფერს დავიშურებთ რათა ეს მიღწევები ხელმისაწვდომი გავხადოთ უკრაინის მშრომელებისათვის. უპირველეს ყოვლისა ჩვენ გათვალისწინებული გვაქვს ფართოდ მოვკიდოთ ხელი მხატვრული ლიტერატურის თარგმანს. უახლოეს ხანში უკრაინულად გამოვცემთ საქართველოს პოეტების საუკეთესო ნაწარმოებებს: რესპუბლიკის სახალხო პოეტის გალაკტიონ ტაბიძის „ეპოქას", ნიჭიერი და საინტერესო პოეტის სიმონ ჩიქოვანის ლექსების წიგნს. ასევე გამოცემულნი იქნებიან ქართველი პოეტები: ტიციან ტაბიძე, პ. იაშვილი, ვ. გაფრინდაშვილი, კ. ჭიჭინაძე, ა. მაშაშვილი, ქ. კალაძე და კ. ლორთქიფანიძე. აგრეთვე ახალგაზრდა ნიჭიერი კომკავშირელი პოეტები: გ. კაჭახიძე, ი. აბაშიძე, ა. გომიაშვილი და გრ. აბაშიძე.

ასევე დიდი ინტერესით ვეკიდებით ქართულ საბჭოთა პროზას. რაც ამ დარგში ღირსშესანიშნავი გაკეთებულა, უნდა გვქონდეს უკრაინულ ენაზეც.

უკრაინელი დრამატურგი ამხ. კორნეიჩუკი (მარჯვნივ) და პოეტი ამხ. ბაჟანი

ჩვენ უკვე ვთარგმნეთ კ. გამსახურდიას „უკრაინის თემიდი", ახლო ხანში შეუდგებით „მთვარის მოტაცების" ბეჭდვას უკრაინულ ლიტერატურულ ჟურნალში. მომავალ წელს გამოცემულ იქნება: მ. ჯავახიშვილის, დ. შენგელაიას, კ. ლორთქიფანიძის, ა. ქუთათელის, ლ. ქიაჩელის და ახალგაზრდა მწერლის მოსე ცვახალიას ნაწარმოებნი.

ვთარგმნით აგრეთვე საუკეთესო ქართულ ორიგინალურ პიესებს. ჩვენ გვსურს დავამყაროთ მტკიცე კავშირი საქ. თეატრებთან. რუსთაველის სახელობის თეატრის ახალ ხელმძღვანელებთან ერთად დავსახეთ მომავალი მუშაობის ღონისძიებები. თეატრი დგამს ახალგაზრდა ტალანტის კორნეიჩუკის ერთერთ შესანიშნავ პიესას — „პლატონ კრეჩეტს". მომავალ ზაფხულს ქართულ თეატრს ვიწვევთ კიევში. მე გამოვთქვამ იმედს, ამხანაგებო, — ამთავრებს თავის სიტყვას სენჩენკო, — რომ ყველა ზემოთ დასახულ ღონისძიებას ჩვენ საქმით განვახორციელებთ.

უკრაინაში გურამიშვილის ძეგლის აღმართვისა და ქართველი მწერლების უკრაინულად თარგმნის ცნობას აუდიტორია მქუხარე ტაშით ხვდება.

სენჩენკოს გამოსვლის შემდეგ ცნობილმა დრამატურგმა კორნეიჩუკმა წაიკითხა მოხსენება დრამატურგიის საკითხებზე. მან აუდიტორიას უამბო, თუ როგორ მუშაობდა „ესკადრის დაღუპვა"-ზე.

— ორი მოქმედება უკვე დაწერილი მქონდა, როდესაც გადავწყვიტე უფრო ახლო გავცნობოდი თემას. მივიღე მონაწილეობა რამდენიმე საზღვაო რეისში. გავეცანი ბრძოლაგანვლილ მეზღვაურებს და ამის შემდეგ საჭიროდ ჩავთვალე ხელმეორედ გადამემუშავებინა პიესის გამზადებული ნაწილი. გამიჭირდა ფინალის მოფიქრება. დაჟინებით ვთხოვდი მეზღვაურებს ემბნათ ჩემთვის დეტალები. მაგრამ მე არცერთი არ მაკმაყოფილებდა. ბოლოს მოხუცმა ბოცმანმა, ერთხელ მუშაობის დროს, შემთხვევით თქვა:

— გავრეცხეთ და დავალაგეთ გემი ჩაძირვის წინ. ჩვენ გადავწყვიტეთ იგი მთლიანად წესრიგში მყოფი გადაგვეცა ზღვისათვის!

ეს მან აღნიშნა სხვათა შორის და მე კი იმ წუთს მივხვდი, რომ სწორედ ამ დეტალს ვეძებდი, მე მაშინ დავრწმუნდი: თუ ახლოს არ მიდგეხით ცხოვრებასთან, ისე კარგი პიესა არ დაიწერება.

ამხ. კორნეიჩუკმა განიხილა დრამატურგიის მთელი რიგი საინტერესო საკითხები და გზადაგზა ის დაუკავშირა თავის შემოქმედებით პრაქტიკას.

მომხსენებელმა თავისი სიტყვის მეორე ნახევარი მოანდომა უცხოეთის შთაბეჭდილებათა გაზიარებას იგი ვრცლად შეჩერდა პარიზის საერთაშორისო კულტურის დაცვის კონგრესის შედეგებზე.

უცხოეთში ყოფნამ ერთხელ კიდევ დამარწმუნა, რომ საბჭოთა თეატრი ერთად ერთი ძლიერი და სერიოზული თეატრია მსოფლიოში. მწერლების ამოცანა დიდი არის. ჩვენს საბჭოთა თეატრს ჩვენ უნდა მივცეთ ახალახალი შედევრები.

კორნეიჩუკის შემდეგ ვრცელი სიტყვით გამოვიდა რუსთაველის თეატრის სამხატვრო ნაწილის გამგე აკ. ვასაძე, რომელმაც აღნიშნა კორნეიჩუკის პიესის „პლატონ კრეჩეტ"-ის რუსთაველის თეატრში დადგმის დიდი მნიშვნელობა.

— ჩვენ ვფიქრობთ, მიმდინარე წელს ეს იქნება ერთერთი საუკეთესო პრემიერა, რომელიც დაეხმარება თეატრს გამოჯანსაღებაში და მუშაობის გარდაქმნაში, — აღნიშნავს ამხ. ვასაძე.

ბესარიონ ჟღენტმა მიუთითა უკრაინასთან კულტურული თანამშრომლობის გაძლიერების აუცილებლობაზე.

— უახლოეს ხანში ქართველი მკითხველი გაეცნობა გენიალური პოეტის ტარას შევჩენკოს უკვდავ ქმნილებებს. აგრეთვე უზრუნველყოფილი იქნება უკრაინელი მწერლების ნაწარმოებთა ქართულად თარგმნა.

სხდომაზე სიტყვით გამოვიდა აგრეთვე დრამატურგი შერცელ ბააზოვი.

დასასრულ ამხ. დ. დემეტრაძემ აუდიტორიის სახელით უკრაინელ სტუმრებს მოხსენებებისათვის მადლობა გადაუხადა.

□ □ □

ალიოხინ—ეივეს მატჩი
პირველი პარტია მოიგო ალიოხინმა

ამსტერდამი, 3 ოქტომბერი. („იზვესტიას" სპეც. კორესპონდენტისაგან). დღეს სასტუმრო „კარლტონში" ჭადრაკის მსოფლიო ჩემპიონ ალიოხინსა და გროსმეისტერ ეივეს შორის დაიწყო მატჩი მსოფლიო პირველობაზე. სრულ 5 საათსა და 30 წუთზე ამსტერდამის დროით მოწინააღმდეგეებმა დაიწყეს მატჩის პირველი პარტია.

ჭადრაკის ამ უდიდესმა მოვლენამ მიიზიდა არა უმეტეს ასიოდე მაყურებლისა, რომელთაგან 25—30 კაცი ფოტორეპორტიორები და ევროპის გაზეთების სპეციალური კორესპონდენტებია.

თეთრებით თამაშობს ალიოხინი. პირველი 18 სვლა მოწინააღმდეგეებმა გააკეთეს 2 საათის განმავლობაში. მათი პარტია არის ლასკერის გამბიტის ჩეხური დაცვა.

პარტიის სადებიუტო სტადიიდან ეივე რამდენადმე ცუდი მდგომარეობით გამოვიდა; მე-16 სვლაზე ეტლების გაცვლამ მას მდგომარეობა ვერ შეუმსუბუქა. ალიოხინმა მთელი რიგი ზუსტი სვლებით დაასუსტა მოწინააღმდეგის ლასკერის ფლანგი, ხელთ იგდო ღია ცენტრალური ხაზი (ლათინური ასო „დ"), თავისი მძიმე ფიგურებით შეიჭრა შავების ბანაკში და აიძულა ეივე დაეთმო პარტია მე-30 სვლაზე, როცა შამათს უკვე ვერ ასცილდებოდა.

პარტიის დამთავრების მომენტისათვის მაყურებელთა რიცხვი უკვე 300 კაცს აღწევდა.

პარტიის დამთავრების შემდეგ ალიოხინი წავიდა. ხოლო ეივე მატჩზე მყოფ გროსმეისტერებთან ფლორთან, მარციხა და ტარტაკოვერთან ერთად კიდევ დიდხანს არჩევდა ბრძოლის ცალკეულ მომენტებს.

შემდეგი პარტია გათამაშდება ისევ ამსტერდამში 6 ოქტომბერს (ადს).



[illegible] ბათუმის ბულვარში.

□ □ □

ფრიადოსანი მშენებლების დაჯილდოება

ტფილისის საბჭოს პრეზიდიუმმა ძვირფასი ნივთებით (პატეფონები, საათები, რადიო-მიმღები ახალი აპარატები და სხ.) დააჯილდოვა ჩელუსკინელების ხიდის ფრიადოსანი მშენებლები — ივანე გოგიბერიძე, გ. ფეოდოროვი, გრ. ჩომახიძე, ბურჯანაძე, როგოვი, ბარბაქაძე დოფილენკო, ხასიევი და სხვ.

ჯილდოების დარიგება შედგა 3 ოქტომბერს ტფილისის საბჭოში. დაჯილდოებულებმა სიტყვა დასდეს, რომ მომავალში გაორკეცებული ენერგიით იმუშავებენ საქალაქო მშენებლობის გეგმების შესასრულებლად.

ჩელუსკინელების ხიდის ფრიადოსანი მშენებლები გადაყვანილი არიან სამუშაოდ კალიევის აღმართის გასაფართოებელ სამუშაოებზე.

□

მანქანებით ჭირხლის ამოღების გეგმა შესრულებულია
„კომუნისტის" რედაქციას

აგარის მტს-ის კოლმეურნეობებში წელს პირველად ვიღებთ ჭარხალს მექანიკური წესით. პირველ ოქტომბრამდე 5 მანქანა გვქონდა ჭარხლის ამოსაღებად. გამომუშავების სეზონური გეგმა ყოველ მანქანაზე დაწესებული იყო 75 ჰექტარი.

პირველ ოქტომბრისათვის, ე. ი. ვადაზე ერთი თვით ადრე, ეს დავალება გადაჭარბებით შევასრულეთ: მანქანებით ჭარხალი ამოღებულია 379 ჰექტარზე, ნაცვლად გეგმით მოცემულ 375 ჰექტარისა.

ტრაქტორისტი ამხ. გელაშვილი და მემანქანე ჭანკვეტაძე სოფ. წრომის და იმერლიანთკარის კოლმეურნეობებში ჭარხალს ყოველდღიურად 4—5 ჰექტარზე იღებენ ნაცვლად 2,2 ჰექტარისა, ხოლო ქვენატკოცის, ფცის და შაქაშეთის კოლმეურნეობებში ტრაქტორისტი ამხ. გიორგი გელაშვილი და მემანქანე ნიკო გელაშვილი 6—7 ჰექტარსაც აჭარბებენ.

პირველ ოქტომბრის დამთავრებით მიიღეს სამი მანქანა, განაგრძობენ მუშაობას.

აგარის მტს-ის დირექტორი გ. ლომთათიძე.

მოადგილე პოლიტგანყოფილებაში ნ. ჯავახიძე.

მუშათა კლუბები ზამთარში

დამთავრდა ტფილისის მუშათა კლუბების დირექტორთა საქალაქო თათბირი. თათბირზე განიხილეს საზამთრო სეზონის მზადების საკითხი.

როგორც გამოირკვა ჯერჯერობით მხოლოდ ვოროშილოვის კლუბია მზად, რომ დაუყოვნებლივ გადავიდეს საზამთრო შენობაში და მუშაობას შეუდგეს. საერთოდ მუშათა კლუბებმა საზამთრო სეზონი უნდა გახსნან 15 ოქტომბერს. მეტადრე ცუდ მდგომარეობაში არიან ნარიმანოვის და მიასნიკოვის სახელობის კლუბები. ორივე ეს კლუბი მომსახურებას უწევს ეროვნულ უმცირესობებს — ქურთებსა და ეზიდებს. კლუბებს შესაფერისი შენობები არა აქვთ და თუ უახლოეს ხანშივე არ მიიღეს კრედიტი არსებული შენობების შესაკეთებლად, ისე ვერ მოახერხებენ საზამთრო მუშაობაზე დროულად გადასვლას.

საქ. პროფსაბჭოს კულტინსპექციამ წინადადება მისცა აღნიშნულ კლუბებზე მიმაგრებულ პროფკავშირებს სათანადო დახმარება აღმოუჩინონ კლუბების გამგეობებს საზამთრო სეზონისათვის მზადებაში.

მეცხოველეობის გამოფენა თელავში

ალავერდის ბაზრობასთან დაკავშირებით 11 ოქტომბერს თელავში ეწყობა მეცხოველეობის სარაიონო გამოფენა. გამოფენაზე გამოყვანილი იქნება მსხვილფეხა რქოსანი საქონელი, ცხენები, ცხვრები, ღორები, ფრინველები და კავკასიური ჯიშის ნაგაზი ძაღლები. აქვე მოეწყობა დოღი. მიწსახკომის ცხენთსაშენიდან ჩამოყვანილ ინგლისურ და ყაბარდოს ჯიშის ცხენებს შეაჯიბრებენ ადგილობრივი ჯიშის ცხენებს.

მეცხოველეობის განვითარების საუკეთესო მაჩვენებლებისთვის კოლმეურნეობებსა და ცალკე მეურნეებს ჯილდოთ მიეცემა 4.500 მან.

გამოფენის მოსაწყობად რაიაღმასკომმა 8.000 მანეთი გადასდო.

□

წვიმები და სეტყვა
წალენჯიხის რაიონში

ხანგრძლივი მზიანი დღეების და ხვეხის შემდეგ, 29 სექტემბერს, ღამით წალენჯიხის რაიონის სოფლებში მოვიდა კოკისპირული წვიმა და სეტყვა. სოფ. საჩინოში, ობუჯში, ლიში და ფახულანში სეტყვამ დიდად დააზარალა თამბაქო, სიმინდი და ყურძნის მოსავალი. წალენჯიხის ზარმემო მთებზე უკვე ჩამოთოვა. (საქ. კორ.).

ტფილისის ზოოპარკი [illegible]

ხელოვნება
10 ოქტომბერს გაიხსნება ოპერის სეზონი

10 ოქტომბერს ზ. ფალიაშვილის ოპერა „დაისით" გაიხსნება ტფილისის ოპერის თეატრის სეზონი. წარმოდგენაში მონაწილეობენ: სოხაძე, რომელიც პირველად იმღერებს მაროს პარტიას, ქუმსიაშვილი და ამირანაშვილი. ოპერას სდგამს სახალხო არტისტი ა. წუწუნავა. დირიჟორი ე. მიქელაძე.

უახლოეს წარმოდგენებში მონაწილეობას მიიღებენ ახლად მოწვეული მსახიობები: დრამატიულ-სოპრანო იურინა (მოსკოვის დიდი თეატრის მსახიობი), დ. ანდღულაძე (დიდი თეატრის მსახიობი) ბარიტონი გრიშკო (გამოდის ონეგინად), ლირიული ტენორები — ნოვოჟილოვი („[illegible]" თეატრი), ივანოვსკი გამოდიან ოპერებში — რიგოლეტოსა და ონეგინში. უახლოეს წარმოდგენებში მონაწილეობას მიიღებენ აგრეთვე ფატმა მუხტაროვა, ელიზა მუხელი (ამსტერდამი), ვალიაცი (დიდი თეატრის მსახიობი).

ახალი ბალეტებიდან პირველად დაიდგმება ბალეტი „ფერენჯი", რომელსაც სდგამს კიევიდან მოწვეული ბალეტმეისტერი ვ. ლიტვინენკო, იგივე მოწვეულია როგორც ცეკვის პრემიერი.

ახალი დადგმებიდან უახლოეს დროში ნაჩვენები იქნება ვერდის ოპერა „ტრუბადური". ოპერას სდგამს რეჟისორი ტალერი, მუსიკალური გაფორმება დირიჟორ პაულ პელასი. ოპერეტებიდან პირველად დაიდგმება შტრაუსის კლასიკური ოპერეტა „ბოშათა ბარონი", დირიჟორი პაულ პელას დადგმა.

★

ქ. მ. ნოვიკოვას გასტროლები საფილარმონიის დარბაზში

5 და 6 ოქტომბერს მუსიკ-ჰოლის თეატრის შენობაში შესდგება ორი უკანასკნელი საღამო. საღამოზე გამოვლენ მოსკოვის სახელმწიფო ოპერეტის პრიმადონა ნოვიკოვა და რესპუბლიკის დამსახურებული მსახიობი ლადო კავსაძე. პროგრამაში შეტანილია არიები და დუეტები ოპერეტებიდან: „გეიშა", „ანგოს ქალიშვილი", „ბოშათა ბარონი", „ფრინველების გამყიდველი", „სილვა", აგრეთვე პოპულარული არია ოპერეტა „პერიკოლადან".

უკანასკნელ საღამოზე გამოვლენ აგრეთვე საქფილ-ის ჯაზი, ზანგი მომღერალი ქალი ცელესტინა კოოლი და ამერიკელი მსახიობი ქალები პეგი და ლილ სტონი.

□

ჭადრაკი
შეჯიბრება ა.-კ. პირველობაზე

ქალ. ერევანში მიმდინარეობს საჭადრაკო შეჯიბრება ამიერ-კავკასიის პირველობაზე. შეჯიბრებაში მონაწილეობენ საქართველოდან: ებრალიძე, სოროკინი, აბრამიანი, ფირცხალავა, კანკავა, ვეიზერი; აზერბეიჯანიდან: დოკტორსკი, ბალათუროვი, ვოინოვი, სელიმხანოვი, ეგიაზაროვი; სომხეთიდან: რ. კასპარიანი, ნაზარიანი, კარაპეტიანი.

პირველ ტურში ებრალიძემ მოუგო ხოროკინს, აბრამიან—კასპარიანს, ფირცხალავა—კანკავას, ბალათუროვ—სელიმხანოვს და დოკტორსკი—ეგიაზაროვს პარტიები ყაიმით დამთავრდა.

მეორე ტურში კასპარიანმა მოუგო ვოინოვს, ებრალიძემ—ნაზარიანს, ფირცხალავამ—სელიმხანოვს, აბრამიან—დოკტორსკის, კანკავა—ხოროკინის და ეგიაზაროვ—ბალათუროვის პარტიები ყაიმით დამთავრდა. გადაიდო ვეიზერ—კარაპეტიანის პარტია.

მესამე ტურში კასპარიანმა მოუგო დოკტორსკის, ებრალიძემ—კარაპეტიანს, ფირცხალავამ—ეგიაზაროვს, კანკავამ—ნაზარიანს, ხოროკინმა—სელიმხანოვს. ყაიმით დამთავრდა ბალათუროვ—აბრამიანის პარტია. ვოინოვ—ვეიზერის პარტია გადაიდო.

მეოთხე ტურში ებრალიძემ მოუგო ვოინოვს, სელიმხანოვმა—ნაზარიანს, დოკტორსკი—ბალათუროვს, აბრამიან—ფირცხალავას, ეგიაზაროვ—ხოროკინის და კარაპეტიან—კანკავას პარტიები ყაიმით დამთავრდა. ვეიზერ—კარაპეტიანის პარტია გადაიდო.

მეხუთე ტურში აბრამიანმა მოუგო ხოროკინს, სელიმხანოვმა—კარაპეტიანს, ნაზარიანმა—ეგიაზაროვს, ვოინოვმა—კანკავას. ყაიმით დამთავრდა ვეიზერ—ებრალიძის და კასპარიან—ბალათუროვის პარტიები.

მეექვსე ტურში კასპარიანმა მოუგო ებრალიძეს. მეექვსე ტურის შემდეგ წინ მიდიან ებრალიძე და კასპარიანი, რომელთაც აქვთ თითოეულს 4½ ქულა, შემდეგ ვეიზერი და აბრამიანი — 4, ფირცხალავა 3½ და ერთი გადადებული.

ამხ. კ. შონიას ხსოვნას

ულმობელმა სიკვდილმა ხელიდან გამოგვტაცა ერთ-ერთი საუკეთესო პარტიელი, ლენინურ-სტალინური საქმისათვის თავდადებული მებრძოლი ამხანაგი კლიმენტი მიხეილის-ძე შონია.

ამხ. კლიმენტი დაიბადა 1889 წელს ზუგდიდის რაიონში (ს. ზუბა). ბავშობის წლები გაჭირვებაში გაატარა. 1911 წლ. 1918 წლამდე ამხ. კლიმენტიმ თავისი ახალგაზრდობა იმპერიალისტურ ჯარში გაატარა, როგორც მობილიზაციით გაწვეულმა.

1918 წლის თებერვალში ამხ. კლიმენტი ლენინურ-სტალინური პარტიის რიგებში შედის და აქტიურ ბრძოლას აწარმოებს, როგორც პარტიის რიგითი წევრი, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის.

ამხ. კლიმენტი, როგორც წითელი პარტიზანი, აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა სამეგრელოს ცნობილ აჯანყებაში საქართველოს ყველგან, გამცემ—თორი მენშევიკური ხელისუფლების წინააღმდეგ, რის გამოც ის მენშევიკური ჯალათური მთავრობის მხრივ სასტიკ დევნას განიცდიდა და რამდენიმეჯერ დატუსაღებულიც იყო.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდან ის იბრძვის ადგილებზე საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებისათვის, პარტიისა და მთავრობის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის. უმთავრესად ის მუშაობდა სასამართლოს ხაზით, გორის, დუშეთის და ტფილისის მაზრების და კახეთის ოლქის პროკურორად სხვადასხვა და უკანასკნელ დროს კი ხეთის „ლესპრომხოზის" დირექტორად. ამხ. კლიმენტი ყველა დავალებას და ამოცანას პირნათლად ასრულებდა და სჩრდა — უკანასკნელ დღემდე.

ამხ. კლიმენტი ნამდვილი მებრძოლი ბოლშევიკი იყო, შეურიგებელი მტერი პარტიისადმი მტრულად განწყობილი ელემენტებისა და ჯგუფებისადმი, სასტიკი მტერი კონტრრევოლუციური ტროცკიზმისა და ყოველგვარი ოპორტუნისტებისა.

მშვიდობით ამხ. კლიმენტი! შენი ხსოვნა მუდამ იქნება ჩვენში!

ილია მასხულია, ვიქტორ შონია, ოაქიმ გახარია, ზინობი შონია, კაპიტონ ელიაშვილი, აქვსენტი შონია, შალვა ქაჯაია, ალექსანდრე შონია, ილა ჩხაიძე, დ. იოსავა, ნაკო თოდუა.

ქრონიკა

— ტუბინსტიტუტის აუდიტორიაში (მელიქიშვილის ქ. 16), დღეს საღამოს 8 საათზე, შესდგება ექიმთა საზ-ბის მორიგი კრება. დღის წესრიგი: 1. პროფ. მიქელაძე — თერაპევტთა საკავშირო ყრილობა, 2. პროფ. მუხაძე — ა.-კ. ქირურგთა ყრილობის შედეგები.

ახალი წიგნი

გამოვიდა ი. მჭედლიშვილის წიგნი „ალექსანდრე ბატონიშვილი", ისტორიული პიესა 5 მოქმედებად, გამოცემა „ფედერაციის". ფასი 3 მანეთი.

შემთხვევები

**გაუფრთხილებელი სვლა.** მიასნიკოვის ქუჩაზე მე-6 მარშრუტის ტრამვაის ვაგონი (ვატმანი ს. ბ. კარგანოვი), დაეჯახა შემხვედრ საბარგულს, გადასტყორცნა უკან და თავის მხრივ დაეჯახა მეორე საბარგულს. ამ დროს მეორე მხრიდან მოდიოდა მე-20 მარშრუტის ტრამვაის ვაგონი (ვატმანი ტ. ბ. ფანჩულიძე), რომელიც ამავე საბარგულებს დაეჯახა. დაზიანდა ორივე მოტორიანი ვაგონი. ერთი მისაბმელი ვაგონი და დაიმსხვრა ორივე საბარგული. დაშავდნენ მესაბარგულების წამყვანები — მ. გრიქუროვი და მ. ვეღიანი. ორივე ვატმანი დაპატიმრებულია.

**შოფერის დაუდევრობა.** შოფერმა ქ. ი. კირვალიშვილმა № 21—66 საბარგო ავტომანქანა ნეკრასოვის ქუჩაზე უმეთვალყურეოდ დასტოვა. აღმართზე მდგომი მანქანა ქვემოთ დაქანდა და ნეკრასოვის ქუჩის ბოლოზე სამკერვალო სახელოსნოს ვიტრინას დაეჯახა. დაქანებისას მანქანამ მძიმედ დააშავა ქუჩაში მიმავალი მოქ. ა. ი. ბელენკაია (მუხრანის ქ. 3). დაშავებული საავადმყოფოში მოათავსეს. შოფერი შეიპყრეს.

**ქურდის დაპატიმრება.** ნავთლუღის ქუჩაზე ტ.ს.ო.კ.-ის მაღაზიის გაქურდვის ცდის დროს დააპატიმრეს მ. მ. უტნიკოვი.

რუსთაველის თეატრი
1935—36 წლ სეზონი.

რეპერტუარი

ახალი დადგმები.
ს. შანშიაშვილი
არსენა
ს. კლდიაშვილი
შემოდგომის აზნაურები
პ. კორნეიჩუკი
პლატონ კრეჩეტი

განახლებული
ფ. შილერი
ინ-ტირანოს
ს. შანშიაშვილი
ანზორ
ვ. შკვარკინი
ნაბიჭვარი
პ. სამსონიძე
ხალტე

საორიენტაციო რეპერტუარი
უ. შექსპირი
იულიოს კეისარი
თარგმ. ივ. მაჩაბლისა
ი. ჭავჭავაძე
კაცია-ადამიანი?!
გადმოკ. ბ. ალსაბაძის მიერ
ვერნეილი და ბორრი
პარიზი
თარგმ ი. კანთარიასი

სეზონის გახსნა ოქტომბრის შუა რიცხვებში
აბონემენტების და მუდმივი ადგილების გაცემის ვადა გაგრძელებულია 15 ოქტომბრამდე.

381 3-1 დირექცია.

ოქტომბერი
6-30 8-30 10-30
ამიერკავკასიის სახ.
6-30 8-30 10-30
[illegible] სახათ. [illegible]
8-30, 10-30
რ. ლუქსემბურგის სახ.
6-30, 8-30, 10-30
[illegible] სახათ.
7-15, 9, 11
[illegible] კოპ. სახ.
7, 8-30, 10
კომინტერნი სახაზ.
[illegible] 8-15, 10-15

სადღეის [illegible]
ამოშანი ფილმი
პეპო
სახათ. — ხმ. სურ ჟიკა-ქუხილი ოსტროვსკის მიხ.
სახაზ. — მხატვრ ფილმი დიაშიკარიაის ჩაითა
დადგმის მე 3 კვირა
[illegible] ხმოვანი ფილმი [illegible] პეტრე
ხმოვანი ფილმი
ბედნიერი ახალგაზრდები
მხატვ. ისტორიული ფილმი
ჟინულის ხახლი
ხმოვანი სურათი პეპო სომხური ვარიანტი
ხმოვანი ფილმი პეპო სომხური ვარიანტი

ტფილისის და სწრებელი პედაგოგიური ინსტიტუტი აცხადებს
ყველა ფაკულტეტის ყველა სტუდენტთა საყურადღებოდ, რომ ა. წ. 6 ოქტომბერს დილის 10 საათზე დანიშნულია საერთო შეკრება—კონფერენცია, კამოს ქუჩა № 52. დასწრება სავალდებულოა.
9721 დირექცია.

სამოქ. სამ საპრ. კოდ. 354 მუხ თანახმად, კიროვის რაიონის სასამართლოს აღმასრულებელი დავით რეჟ-იკაძე
ამით აცხადებს, რომ 1935 წ 8 ოქტომბერს დღის I საათზე, ქ ტფილისში სიონის ქუჩაზე № 32 სახლში
საჯარო ვაჭრობით გაჰყიდის
ტ. ო. კ. ქონებას—ქალის პალტოებს ბეწვით სხვადასხვა ფერისას 160 ცალს.
ქონება ესე შეფასებულია 16.348 მან. 15 კაპ. და გაიყიდება სოც. უზრუნვ. საკომ. უ. . პ. პოეტენხიის დასაკმაყოფილებ ად. თანახმად არბიტრაჟის ბრძანებისა და 1935 წ. 15 აგვისტოს № 2/867-ით გაცემული აღმასრულებელი ფურცლისა.
9733

დაკარგულია გაზ „ოომუ ისტრს" მ. უბუქი მაიკაისა [illegible] —4! პა კორტი. ჩ. გ.

საქართველოს ცენტრალური სახალხო კომისარიატის [illegible] მოსამართლეთა სამმართველოს სოციალური უზრუნველყოფის კომისარიატთან არსებულ საწარმოო წამოწყებათა სამმართველოს სალიკვიდაციო კომისიასთან ერთად აცხადებს, რომ ამ უკანასკნელის საკადასახადო დავალიანების დასაფარავად ა. წ 6 ოქტომბერს დილის 11 საათზე, საქ. რთველოს ფინსახკომის სახელმწიფო მოსამართლეთა სამმართველოში დანიშნულია განმეორებითი საჯარო ვაჭრობა შეძლეულ ფასიდან; საჯარო ვაჭრობით გაიყიდება ოთხი სათევზაო სარეწაო: ზღ. რ. . თ. . ის. პირ ოს. ათის. სანე ჩალის და გე დუანის, რომელთაც აქვთ [illegible] საქართველოს სოციალური უზრუნველყოფის [illegible] სამმართველოს სალიკვიდაციო კომისიას, პაპ. ბლის ქ. № 2

საჯარო ვაჭრობაში დაიშვებიან მხოლოდ გასაზოგადოებრივებული სექტორის ორგანიზაციები

საქ ფინსახკომის სახელმწიფო შემოსავალთა სამმართველო
საწარმოო წამოწყებათა სამმართველოს ლიკვიდკომი
810

შვილები: შარინოზ ვლადიმერის ასული ბაქრაძისა და ვანო გუნცაძე მეუღლე საშურათი იუწყებიან, რომ 6 ოქტომბერს 2 საათზე კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია დაუვიწყარი დედის
ვახსი ხამსონის ასულ გუნცაძის
სამოქალაქო პანაშვიდი. 9729

ცოლი ოლღა, შვილები: ჟანნა, სვეტლანა, ძმა სიმონ, რძალი ართენიკა მანუკოვი შვილებით აუწყებენ ნათესავებს და მეგობრებს ძვირფას
ქრისტეფორე ახტვაცატურის-ძე მანუკოვის
გარდაცვალებას. სამოქალაქო პანაშვიდი დღეს 7 ს. გამოსვენება 6 ოქტომბერს, 2 საათზე აკ. წერეთლის (გ ოოვის) ქ. № 19. უფ.

ცოლი მარიამი, შვილები: ვალიკო, დიტო, ნინო, გუგულა, შალიკო თავიანთი ოჯახებით, გაზრდილი ქეთო იუწყებიან, რომ 6 ოქტომბერს, 5 საათზე ქ. ქუთაისში, საფიჩხიის სასაფლაოზე დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი საყვარელ
ნოე გიორგის-ძე მგალობლიშვილის
ხსოვნის აღსანიშნავად. 9728

დამწუხრებული ანიჩკა მგალობლიშვილი ქმარშვილით, ფოკა, ჩიტო, უჩა, გელა ცქვიტინიძეები იუწყებიან რომ 6 ოქტომბერს დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი დაუვიწყარი აღმზრდელი ბიძის
ნოე გიორგის-ძე მგალობლიშვილის
მოსაგონებლად ქ. ქუთაისში საფიჩხიის სასაფლაოზე. 9733

სამუდამოდ გულმოკლული მეუღლე ლუბა, შვილი ოთარ, დედა მეტა აუწყებენ ნათესავ-ნაცნობებს და მეგობრებს დაუვიწყარი
კლიმენტი მიხეილის-ძე შონიას
გარდაცვალებას. დაკრძალვა 5 ოქტომბერს კუკიის სასაფლაოზე, გამოსვენება 5 ს. ქელიაბოვის ქ. № 28.
9735

ნათესავები და უახლოესი მეგობრები: ალექსანდრე შონია, კაპიტონ ელიაშვილი, ზინობი შონია, ვალოდია იოსავა და შალვა ქაჯაია მწუხარებით იუწყებიან ძველი ბოლშევიკის
ამხ. კლიმენტი მიხეილის-ძე შონიას
უდროოდ გარდაცვალების გამო.

ამხანაგები მ. ბარამია და შურა იოსავა ღრმა მწუხარებას გამოსთქვამენ უახლოესი ნათესავის, ძველი ბოლშევიკის
ამხ. კლიმენტი შონიას
უდროოდ გარდაცვალების გამო.

დამწუხრებული კოლია ბიბილური ცოლით მაროთი, დედით, მარიამით, იუწყებიან მათი უსაყვარლესი
ალექსანდრე (საშა) ჯარიაშვილის
უდროოდ დაკარგვას. პანაშვიდი დღეს 12 ს., დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე 6 ოქტომბერს, 4 ს. გამოსვენება კომინტერნის ქ. № 6. 9723

მშობლები: გიორგი, ევგენი, ცოლი მარგალიტა, ძმები: კოსტა, იოსები, მიშა, დები: მარო, მარგო, თამარი სიძე და რძლები იუწყებიან
ალექსანდრე (საშა) ჯარიაშვილის
უდროოდ დაკარგვას. დაკრძალვა 6 ოქტომბერს გამოსვენება კომინტერნის ქ. № 6. 4 ს. 9722

კიროვის რ-ნაბჭოს სახლთა ტრესტი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ 3 ოქტომბერს, დილის 11 საათზე, ხანმოკლე ავადმყოფობით გარდაიცვალა ამავე ტრესტის მთავარი ბუღალტერი
ალექსანდრე (საშა) იოსების-ძე ჯარიაშვილი
გამოსვენება 6 ოქტომბერს, 12 საათზე, კომინტერნის ქ. № 6. 9724

დამწუხრებული შვილიშვილი ოლია ზაისურაძე მეუღლით თინათი და შვილით ლაურათი აუწყებენ საზოგადოებას, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის საყვარელი დიდედა
ჯრაცია აგვისტინის ასული ქილარჯიშვილისა
[illegible] ქ. ქუთაისში. [illegible]

უახლოესი მეგობრები: ელიკო, თამარ, დარეჯან, ბაბულია, ალექსანდრე, მიშიკო, შალვა, გრი, შალიკო და ვანიჩკა ღრმა მწუხარებას გამოსთქვამენ ჩიჩიკო კვიტაიშვილის ძმის
კოლია მახარაძის
უდროოდ გარდაცვალების გამო.
9730

6 ოქტომბერს 1 საათზე ვერის სასაფლაოზე დანიშნულია სამოქ. პანაშვიდი
ელისაბედ ფიფია—არაჩემიას
ხსოვნის აღსანიშნავად. რასაც იუწყებიან დები: ნინო, ლიზა, ძმა გიორგი, რძალი ოლია. სიძენი: ალექსანდრე ქუთათელაძე და კონსტანტინე ნინუსაძე.
9740

სტამბა „კომუნისტი" კამოს ქ. № 68

რწმუნებული 8079